

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს განჩინებათა კრებული
საქართველოს საქმეებზე**

2010 - 2011 წლები

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი

2011

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

JUDGMENTS v. GEORGIA

2010 - 2011 (October)

The Supreme Court Of Georgia

Human Rights Centre

Tbilisi

2011



კრებული შეადგინა და დაამუშავა

თინათინ ბეჟაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

დიზაინი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

TINATIN BEZHASHVILI

Style Editor

TINATIN KOKRASHVILI

Designed by

MARIKA MAGHALASHVILI

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	7
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 ოქმი	9
კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ	17
ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ	26
ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ	33
სალინაძე საქართველოს წინააღმდეგ	46
ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ	56
ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	63
გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ	70

PREFACE

Preface	8
Protocol No.14 of the European Convention of Human Rights	9
Case of Klaus and Yuri Kiladze v. Georgia	17
Case of Tsintsabadze v. Georgia	26
Case of Enukidze and Girgvliani v.Georgia	33
Case of Saghinadze v. Georgia	46
Case of Chichinadze v. Georgia	56
Case of Khaindrava and Dzamashvili v. Georgia	63
Case of Goginashvili v. Georgia	70

წიწას იტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლო ტრადიციულად განაგრძობს საქართველოს საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს განჩინებათა ყოველწლიური კრებული გამოცემას. წინამდებარე კრებულში შესულია 2010 და 2011 წლებში განხილული საქმეები.

ამას გარდა, კრებულს თან ერთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 ოქმი, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ივნისიდან. მე-14 ოქმის ძალაში შესვლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს სასამართლოს ეფექტიანობის გაუმჯობესების და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ევროპაში. მე-14 ოქმი სტრასბურგის სასამართლოს საშუალებას მისცემს მეტი ყურადღება მიმართოს საქმეებზე, რომლებიც წამოჭრის ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან პრობლემებს, რათა მან შეძლოს, მისი როლის უფრო ეფექტურად შესრულება.

მე-14 ოქმი სასამართლოს რეფორმირებას ახორციელებს შემდეგნაირად:

- აძლიერებს მის ქმედუნარიანობას აშკარად დაუსაბუთებელი განაცხადების გაფილტვრისას;
- აწესებს მისაღებობის ახალ კრიტერიუმს იმ განაცხადებზე, რომლებშიც მომჩივნებს არ განუცდიათ საგრძნობი ზიანი;
- ნერგავს საჩივრების განხილვის ეფექტურ ღონისძიებებს, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, რომელთათვისაც უკვე მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართალი არსებობს და ხანდახან ცნობილია, როგორც ანალოგი საქმეები.

ასევე, რეფორმის დამატებით მიზანს წარმოადგენს გადანყვეტილებათა აღსრულებაზე მეთვალყურეობისას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის როლის გაძლიერება.

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს საქართველოსთან დაკავშირებული გადანყვეტილებების გაცნობის საშუალება. კრებულში წარმოდგენილია 7 განჩინება, რომელთაგან 6 საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებები, ხოლო 1 საქმეზე მიიჩნია, რომ არ დარღვეულა აღნიშნული კონვენციის მუხლები.

ყველა ის გადანყვეტილება, რომელიც მიღებულია საქართველოსთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა ფეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისათვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

¹ რაც შეეხება 2011 წლის საქმეებს, კრებულში შევიდა მხოლოდ ოქტომბრამდე განხილული განჩინებები.

P R E F A C E

Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia published the third annual edition of European Court of Human Rights judgments concerning Georgia. The present publication contains the judgments from 2010 till 2011 (October).

Besides, this edition includes also Protocol No.14 of the European Convention, which entered into force on June 1, 2010 and introduced some amendments of functioning and future objectives to the European Court. The entry into force of Protocol No. 14 represents a crucial step in improving the effectiveness of the Court and the protection of human rights in Europe. The Convention establishes the foundations of a common legal space across Europe. Protocol 14 will permit the Court to concentrate more on cases that raise important human rights issues, so it can play its role most effectively.

Protocol No. 14 reforms the Court's procedures by:

- Reinforcing its filtering capacity to deal with clearly inadmissible applications;
- Establishing a new admissibility criterion concerning cases in which the applicant has not suffered a significant disadvantage;
- Introducing measures for dealing more efficiently with applications related to issues for which a well-established case law exists, sometimes known as repetitive cases.

Another objective of the reform is to strengthen the role of the Council of Europe Committee of Ministers when supervising the execution of the judgments.

There are 7 judgments presented in this publication, where in 6 of them the European court of Human Rights ruled out that there were some violations of the certain articles of the Convention and only in one case the Court established no violation of the Convention.

All these judgments about Georgia are to the utmost important for our country and each of them must be treated with due attention by national courts, for it is not only expedient, but necessary to exercise the European Court's Case Law together with the Convention.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №14

კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის (შემდგომში კონვენცია) წინამდებარე ოქმის ხელმოწერები,

ითვალისწინებენ რა რომში 2000 წლის 3-4 ნოემბერს ჩატარებულ ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის მინისტრიალის კონფერენციაზე მიღებულ NN1 რეზოლუციას და დეკლარაციას;

შესაბამისად, ითვალისწინებენ რა 2001 წლის 8 ნოემბერს, 2002 წლის 7 ნოემბერს და 2003 წლის 15 მაისს მინისტრთა კომიტეტის 109-ე, 111-ე და 112-ე სესიებზე მიღებულ დეკლარაციებს;

ითვალისწინებენ რა 2004 წლის 28 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ №251(2004) მოსაზრებას;

ითვალისწინებენ რა კონვენციის გარკვეული დებულებების შესწორების უკიდურეს აუცილებლობას, რათა ხანგრძლივი ვადით შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს საზედამხედველო სისტემის ეფექტურობა, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და მინისტრთა კომიტეტის სამუშაოს მუდმივი ზრდის ფონზე;

ითვალისწინებენ რა, განსაკუთრებით, ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი როლის შესრულების საჭიროებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

კონვენციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა გაუქმდეს.

მუხლი 2

კონვენციის 23-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 23 – თანამდებობაზე ყოფნის ვადები და დათხოვნა

1. მოსამართლეები აირჩევიან 9 წლის ვადით. არ შეიძლება მათი ხელახალი არჩევა.
2. მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწურება, როდესაც ისინი აღწევენ 70 წლის ასაკს.

3. მოსამართლეები თანამდებობაზე რჩებიან მათ შეცვლამდე. ამასთან, ისინი გააგრძელებენ მუშაობას იმ საქმეებზე, რომლებიც უკვე იყო მათი განხილვის ქვეშე.
4. დაუშვებელია მოსამართლეთა დათხოვნა სამსახურიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა მოსამართლეები ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით გადაწყვეტენ, რომ იგი ვეღარ აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნებს“.

მუხლი 3

კონვენციის 24-ე მუხლი უნდა გაუქმდეს.

მუხლი 4

კონვენციის 25 მუხლი უნდა გახდეს 24-ე მუხლი და მისი ტექსტი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 24 – რეგისტრატურა და იურიდიული სამდივნოები

1. სასამართლოს უნდა ჰქონდეს რეგისტრატურა, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით.
2. ერთი მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა დაეხმარონ იურიდიული სამდივნოები, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლოს თავმჯდომარეს, ისინი წარმოადგენენ სასამართლოს რეგისტრატურის ნაწილს.“

მუხლი 5

კონვენციის 26-ე მუხლი უნდა გახდეს 25-ე მუხლი („პლენარული სასამართლო“) და მისი ტექსტი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. „დ“ პუნქტის ბოლოს მძიმე უნდა შეიცვალოს წერტილ-მძიმეთი და სიტყვა „და“ უნდა გაუქმდეს.
2. „ე“ პუნქტის ბოლოს წერტილი უნდა შეიცვალოს წერტილ-მძიმეთი.
3. უნდა დაემატოს ახალი „ფ“ პუნქტი, რომელიც შემდეგნაირად წაიკითხება: „ფ) წარადგენს ნებისმიერ მოთხოვნას მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად“.

მუხლი 6

კონვენციის 27-ე მუხლმა უნდა გადაინაცვლოს 26-ე მუხლის ადგილზე, მისი ტექსტი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 26

– ერთი მოსამართლის სისტემა, კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში წარმოდგენილი საქმეები განიხილება ერთი მოსამართლის, სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტის, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატის და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარი დიდი პალატის მიერ. სასა-

მართლოს პალატებმა კომიტეტები უნდა შექმნან განსაზღვრული ვადით.

2. პლენარული სასამართლოს მოთხოვნით, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ერთსულოვანი გადაწყვეტილების თანახმად და განსაზღვრული ვადით ხუთ წევრამდე შეამციროს მოსამართლეთა რაოდენობა პალატებში.
3. როცა სხდომა მიჰყავს ერთ მოსამართლეს, მას არ შეუძლია განიხილოს რაიმე განაცხადი იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ, რომელთან დაკავშირებითაც ეს მოსამართლე იქნა არჩეული.
4. *ex officio* წევრის სტატუსით პალატაში და დიდ პალატაში შევა ის მოსამართლე, რომელიც მაღალი ხელშემკვრელი მხარისათვის იქნება არჩეული. თუ ასეთი არავინაა ან თუ ამ მოსამართლეს არ შესწევს ამის უნარი, მოსამართლის მოვალეობა უნდა შეასრულოს პირმა, რომელიც მხარეების მიერ წინასწარ წარმოდგენილი სიიდან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არის არჩეული.
5. დიდი პალატის შემადგენლობაში ასევე უნდა იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე, პალატების თავმჯდომარეები და დანარჩენი მოსამართლეები, რომლებიც არჩეულნი არიან სასამართლოს რეგლამენტის თანახმად. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატაში 43-ე მუხლის თანახმად, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.“

მუხლი 7

26-ე მუხლის შემდეგ კონვენციაში შეტანილ უნდა იქნეს ახალი 27-ე მუხლი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 27 – ერთი მოსამართლის უფლებამოსილება

1. ერთ მოსამართლეს შეუძლია მიუღებლად გამოაცხადოს, ან 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს საქმეთა სიიდან ამოიღოს წარმოდგენილი განაცხადი, როცა მსგავსი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს შემდგომი განხილვის უფლების გარეშე.
2. გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო.
3. თუ საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე არ გამოაცხადებს განაცხადს დაუშვებლად ან არ ამორიცხავს მას, მაშინ მან უნდა წარადგინოს ის კომიტეტში ან პალატაში შემდგომი განხილვისათვის.“

მუხლი 8

კონვენციის 28-ე მუხლი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 28 – კომიტეტების უფლებამოსილება

1. 34-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილ განაცხადთან მიმართებაში, კომიტეტს შე-

უძლია ერთხმად

- ა. გამოაცხადოს ის მიუღებლად ან ამოიღოს საქმეთა სიიდან, თუ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია შემდგომი განხილვის გარეშე: ან
 - ბ. გამოაცხადოს ის მისაღებად და ამავე დროს გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსიდან გამომდინარე, თუ საქმის ძირითადი საკითხი, კონვენციის ან ოქმების გამოყენებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებით უკვე წარმოდგენს სასამართლოს მიერ წარმატებით დაფუძნებულ პრეცედენტული სამართლს.
2. დადგენილებები და გადაწყვეტილებები 1-ლი პუნქტის თანახმად საბოლოო უნდა იყოს.
1. 3. თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე არ არის კომიტეტის წევრი, კომიტეტს შეუძლია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიიწვიოს ეს მოსამართლე კომიტეტში ერთ-ერთი წევრის ადგილის დასაკავებლად, ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, სადავოდ ხდიდა თუ არა მხარე 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის გამოყენებას.“

მუხლი 9

კონვენციის 29-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. 1-ლი პუნქტი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „თუ დადგენილება არ არის მიღებული 27-ე ან 28-ე მუხლების თანახმად, ან გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი 28-ე მუხლის თანახმად, პალატამ უნდა გადაწყვიტოს 34-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილი ინდივიდუალური განაცხადების დასაშვებობა და საქმის არსი. განცხადების დასაშვებობის თაობაზე გამოტანილ უნდა იქნეს ცალკე გადაწყვეტილება“.
2. მე-2 პუნქტის ბოლოს უნდა დაემატოს ახალი წინადადება, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „განაცხადის დასაშვებობის თაობაზე მიღებულ უნდა იქნას ცალკე გადაწყვეტილება, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როცა სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს“.
3. მე-3 პუნქტი უნდა გაუქმდეს.

მუხლი 10

კონვენციის 31-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგი სახით:

1. „ა“ ქვეპუნქტის ბოლოს უნდა ამოიშალოს სიტყვა „და“;
2. „ბ“ ქვეპუნქტი უნდა გახდეს „ც“ ქვეპუნქტი და უნდა ჩაემატოს ახალი „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგი სახით:

„ბ) გამოიტანს გადაწყვეტილებას მინისტრთა კომიტეტის მიერ სასამართლოსათ-

ვის გადაგზავნილ საკითხებთან დაკავშირებით 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად; და”

მუხლი 11

კონვენციის 32-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1-ლი პუნქტის ბოლოს უნდა დაისვას მიძიმე და რიცხვი 46 უნდა ჩაისვას 34-ის შემდეგ.

მუხლი 12

კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„3. სასამართლომ უნდა გამოაცხადოს მიუღებლად ნებისმიერი ინდივიდუალური განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია 34-ე მუხლის თანახმად, თუ:

- ა. განაცხადი შეუთავსებელია კონვენციის ან მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან წარმოადგენს ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებას: ან
- ბ. თუ განმცხადებელს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესები კონვენციისა და ოქმების შესაბამისად მოითხოვს განაცხადის არსებითად განხილვას და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ზემოაღნიშნული საფუძვლით უარის თქმა რომელიმე საქმის განხილვაზე, რომელიც შიდა სასამართლოს მიერ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

მუხლი 13

კონვენციის 36-ე მუხლს უნდა დაემატოს ახალი მე-3 პუნქტი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„3. ყველა შემთხვევაში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარს შეუძლია პალატას ან დიდი პალატას წარუდგინოს წერილობითი შენიშვნები და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

მუხლი 14

კონვენციის 38-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 38 – საქმის განხილვა

სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს მხარეების წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, დაინყოს გამოძიება, რომლის ეფექტურად ჩატარებისათვის დაინტერესებულმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა სასამართლო უნდა უზრუნველყონ ყველა აუცილებელი პირობით“.

მუხლი 15

კონვენციის 39-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 39 – საქმის მეგობრულად გადაწყვეტა

1. საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს დაინტერესებულ მხარეთა სურვილით, უზრუნველყონ საქმის მეგობრულად გადაწყვეტა, ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს დადგენილია კონვენციაში და მის ოქმებში.
2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საქმისწარმოება კონფიდენციალური უნდა იყოს.
3. საქმის მეგობრულად გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლომ საქმე უნდა ამოიღოს სიიდან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უნდა შემოიფარგლებოდეს ფაქტების და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე აღწერით.
4. ეს გადაწყვეტილება უნდა გადაეგზავნოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც განახორციელებს საქმის მეგობრული გადაწყვეტილების პირობების შესრულებაზე მეთვალყურეობას.

მუხლი 16

კონვენციის 46-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად

„მუხლი 46 – სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ აღასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ყველა იმ საქმესთან დაკავშირებით, რომლის მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ.
2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გადაეგზავნოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც განახორციელებს მეთვალყურეობას მის აღსრულებაზე.
3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება ყოვნადაც გადაწყვეტილების განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, მას შეუძლია გადაწყვეტილება განმარტებისათვის გადაუგზავნოს სასამართლოს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა კომიტეტის უფლებამოსილი წევრების ხმათა ორი-მესამედის უმრავლესობა.
4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს ამბობს სასამართლოს მიერ იმ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, რომლის მხარესაც წარმოადგენს იგი, კომიტეტს შეუძლია ამ მხარისათვის ფორმალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი-მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართოს სასამართლოს შეკითხვით – დაარღვია თუ არა მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

5. თუ სასამართლო აღმოაჩენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, მან საქმე უნდა გადასცეს მინისტრთა კომიტეტს მისაღები ზომების განხილვის მიზნით. თუ სასამართლო ვერ აღმოაჩენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, მან საქმე უნდა გადასცეს მინისტრთა კომიტეტს, რომელმაც უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა”.

მუხლი 17

კონვენციის 59-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად

1. უნდა დაემატოს მე-2 პუნქტი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:
„2. ევროპის კავშირს შეუძლია მიუერთდეს ამ კონვენციას“
2. მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები შესაბამისად უნდა გახდნენ მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 18

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმომწერი წევრებისათვის, რომელთა თანხმობაც ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარების თაობაზე შეიძლება გამოიხატოს:
 - ა. ხელმომწერთ რატიფიკაციასთან, მიერთებასთან ან დამტკიცებასთან დაკავშირებით დათქმების გაკეთების გარეშე; ან
 - ბ. ხელმომწერთ რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების პირობით, რომელსაც მოჰყვება რატიფიკაცია, მიერთება ან დამტკიცება.
2. რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 19

ოქმი ძალაში შევა იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, რომლის ათვლაც დაინიშნება იმ დღიდან, როდესაც კონვენციის მონაწილეები გამოთქვამენ თანხმობას ამ ოქმის სავალდებულობაზე, მე-19 მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 20

1. ამ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან, მისი დებულებები გამოიყენება ყველა განაცხადის მიმართ, რომლის განხილვაც მიმდინარეობს სასამართლოში, ასევე სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებაზე, რომლის აღსრულებაზე მეთვალყურეობას ახორციელებს მინისტრთა კომიტეტი.
2. ამ ოქმის მე-12 მუხლის საფუძველზე კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტში ჩამატებული დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები არ გამოიყენება იმ განაცხადების მიმართ, რომლებიც გამოცხადდნენ დასაშვებად ამ ოქმის ძალაში შესვლამდე.

დე. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პალატების და დიდი პალატის მიერ.

მუხლი 21

იმ მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ვადა, რომლებიც ამ ოქმის ძალაში შესვლის დროისათვის მსახურობენ პირველი ვადით *ipso jure* უნდა გაგრძელდეს იმგვარად, რომ შეადგინოს მთლიანი ცხრანობის ვადა. სხვა მოსამართლეები დაასრულებენ თავიანთ ვადას, რომლებიც *ipso jure* უნდა გაგრძელდეს 2 წლის ვადით.

მუხლი 22

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს ევროპის საბჭოს წევრებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების დოკუმენტის ნებისმიერი დეპონირების;
- c) ამ ოქმის მე-20 მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის; და
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტის, განცხადების ან შეტყობინების შესახებ.

ამის დასტურად სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 2004 წლის 13 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტიურია, რომელთა თითო ასლიც დეპონირდება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა გადაუგზავნოს ამ ოქმის დამონმეხული ასლები ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ¹

Case of Klaus and Yuri Kiladze v. Georgia (№7975/06)

2006 წლის 22 თებერვალს კლაუს და იური კილაძეებმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2010 წლის 2 თებერვალს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№7975/06) და ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1937 წლის 2 ოქტომბერს, საბოტაჟისა და ტერორისათვის გასამართლების შემდეგ, განმცხადებლების მამა დახვრიტეს. 1938 წლის 7 ნოემბერს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით განმცხადებელთა დედას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და გადაასახლეს საბჭოთა კავშირის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე სპეციალური „გულაგის“ საპატიმრო ბანაკში.

თბილისში მდებარე საცხოვრებელ სახლში მარტო დარჩენილ განმცხადებლებს, რომლებიც მაშინ 12 და 10 წლისანი იყვნენ, დაპატიმრების შიშით ვერც ერთი მეზობელი ვერ ეკარებოდა. თავდაპირველად, თვე-ნახევრის განმავლობაში, განმცხადებლები მოათავსეს თბილისის ბავშვთა მიმღებში. იქ არსებული ცუდი კვებისა და სიბინძურის გამო, განმცხადებლები ტიფით დაავადდნენ. ამის შემდეგ ძმები, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამხედრო კომისრის 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე, საქართველოდან რუსეთში, სტავროპოლის რეგიონში, უდემამო ბავშვთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც მათ ორი წელიწადი გაატარეს. ექვემდებარებოდნენ რა „სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების კონტროლს“ განმცხადებლებს, როგორც „სამშობლოს მოღალატე“ მამის შვილებს, მუდმივად სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ დაწესებულების თანამშრომლები, ხოლო თავისივე თანატოლები უსწორდებოდნენ როგორც ქართველებს, სტალინის სამშობლოდან. ამას გარდა, განმცხადებლებს მეტად მძიმე ანტისანიტარიულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, რის შედეგადაც ისინი დაავადდნენ.

დედის დაპატიმრებისთანავე განმცხადებლებს თბილისში მდებარე 90მ² ფართობის საცხოვრებელი სახლი, უძრავ ქონებასა და სხვა პირად თუ საოჯახო ნივთებთან ერთად, დაუყოვნებლივ ჩამოართვეს.

1940 წელს კლაუს და იური კილაძეების ბებია მათი მეურვეობის უფლება მიიღო. საქართველოში დაბრუნებულებს, ჯერ კიდევ ბავშვებს, ფიზიკური შრომით თავის რჩენა უწევდათ. 1945 წელს განმცხადებლების დედა გაათავისუფლეს და ის სურავანდით, პლევრიტითა და გასტროენტერიით დაავადებული დაბრუნდა თბილისში. 1956 წლის 4 მაისს სამხრეთ კავკასიის სამხედრო სასამართლომ გააუქმა 1938 წლის 7 ნოემბრის

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პარაგრაფების შესაბამისად, გადაწყვეტილებას ერთვის მოსამართლე კაბრალ ბარეტოს განსხვავებული აზრი.

გადაწყვეტილება და, განმცხადებლების დედის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, იგი რეაბილიტირებულად ცნო. 1957 წლის 30 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ იმავე მოტივით გააუქმა 1937 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და განმცხადებლების მამაც რეაბილიტირებულად ცნო. 1991 წლის 16 მარტს განმცხადებლების დედა გარდაიცვალა.

1998 წლის 6 მარტს განმცხადებლებმა მიმართეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, მათი მშობლების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის, ქონების კონფისკაციისა და ასევე, მათი ბავშვთა თავშესაფარში ყოფნის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. 1998 წლის 1 ივლისს განმცხადებლებმა მიიღეს პასუხი, რომ არავითარი ინფორმაცია არ იყო შემონახული მათი ბავშვთა თავშესაფარში ყოფნის შესახებ. რაც შეეხება ინფორმაციას მათი მშობლების შესახებ, სამინისტროს არქივები 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის დროს დაინვა. განმცხადებლებს ურჩიეს, შეეგროვებინათ რამდენიმე თვითმხილველი მოწმის მონაცემი, დაემოწმებინათ ნოტარიული წესით და მიემართათ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტერიტორიულად კომპეტენტური სასამართლოსთვის ფაქტის იურიდიულად დადგენის მოთხოვნით.

1998 წლის 16 მარტს განმცხადებლებმა თბილისის საბურთალოს რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით მიმართეს და მოითხოვეს მათი და მათი მშობლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად აღიარება. 1998 წლის 19 აგვისტოს განმცხადებელთა მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც საბოლოო გახდა 1998 წლის 2 სექტემბერს, განმცხადებლებმა 2005 წლის 15 მარტს მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ისინი ეყრდნობოდნენ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-9 მუხლს („1997 წლის 11 დეკემბრის კანონი“), რომელიც ძალაში 1998 წლის პირველ იანვარს შევიდა. აკეთებდნენ რა აქცენტს მამის დახვრეტაზე, დედასთან განშორებაზე, ჯერ ბავშვთა მიმღებში, ხოლო შემდეგ თავშესაფარში ცხოვრების პირობებზე, მათი ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე, მშობლების დაპატიმრებიდან ზრდასრულ ასაკამდე განცდილ დამცირებასა და რეპრესიებზე, ასევე დედის დაპატიმრებისთანავე მათი ქონების კონფისკაციაზე, განმცხადებლები ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე ითხოვდნენ 515.000 ლარის (დაახლოებით 208.000 ევრო²) ოდენობის კომპენსაციის გადახდას თითოეული მათგანისთვის, საერთო ჯამში განცდილი მორალური და მატერიალური ზიანის გამო.

მოპასუხე მხარე, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი, ამტკიცებდა, რომ განმცხადებელთა მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, ვინაიდან 1997 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა, ხოლო 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული „კანონი“ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია განმცხადებლების წარსულ პერიოდთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, გარდა ქონების კონფისკაციისა. ამ უკანასკნელ ფაქტ-

² 2009 წლის 22 სექტემბრისათვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ტთან მიმართებით, საოლქო სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 პარაგრაფს და განმცხადებლებს დაუპირისპირა კონფისკაციის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებების არარსებობა, მიიჩნია რა, რომ თვითმხილველ მონმეთა ჩვენებები არასაკმარისი იყო. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებელთა მოთხოვნა არ შეიძლება და დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან „კანონები“, რომლებზეც მიუთითებდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

განმცხადებლებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს და მიუთითეს, რომ მათი მოთხოვნა ეფუძნებოდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს და ვერ იქნებოდა ხანდაზმული იმ მომენტიდან, როდესაც მათ მოთხოვნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ მათ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის საფუძველზე, ჰქონდათ კომპენსაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, განმცხადებლები აპროტესტებდნენ იმ ფაქტს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის ძალაში შესვლიდან თითქმის რვა წელი იყო გასული, ხოლო სახელმწიფოს არავითარი ზომები არ მიუღია შესაბამისი კანონის მიღებისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდის მიზნით, როგორც ეს კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში *in fine* იყო აღნიშნული. განმცხადებელთა მტკიცებით, აღნიშნულ მსხვერპლთა რაოდენობა, რომლებიც უკვე ასაკოვნები იყვნენ, დროთა განმავლობაში მცირდებოდა და მათი აზრით, სახელმწიფო ელოდებოდა, რომ მათი გარდაცვალება კომპენსაციის პრობლემას მოხსნიდა. იმ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, რომელიც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პარლამენტში 2001 წელს უშედეგოდ წარადგინა სადავო საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრის მიზნით, ამ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობა, კატეგორიების მიხედვით, 600-დან 16.000-მდე მერყეობდა.

2005 წლის 2 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებელთა საკასაციო საჩივარი და უარყო მათი მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო სასამართლომ განმცხადებელთა წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიასთან დაკავშირებული ფაქტები დადგენილად მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული „კანონი“, ამ შემთხვევაში, გულისხმობდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს, რომელიც წინამდებარე საქმეში *lex specialis*-ს წარმოადგენს. სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის გაგებით, „ფულადი კომპენსაცია“, სხვათა შორის, მორალური ზიანის ანაზღაურებასაც მოიცავს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტი, რომელზეც მიუთითებს მე-9 მუხლი, არ იყო მიღებული, მოცემულ მომენტში განმცხადებელთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფუძველს მოკლებული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამდენად, არ იკვეთება, რომ უზენაესმა სასამართლომ გაიმეორა საოლქო სასამართლოს მსჯელობა განმცხადებელთა სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

განმცხადებლებმა განაგრძეს თავიანთი მშობლების ქონების კონფისკაციის მტკიცებულებათა ძებნა. 2006 წლის 4 დეკემბრის წერილით უძრავი ქონების რეესტრის სააგენტომ განმცხადებლებს აცნობა, რომ სადავო ბინა არქივში პირველად 1940 წელს გამოჩნდა, როგორც სახელმწიფოს საკუთრება. ამის შემდეგ მის შესახებ არავითარი სხვა ინფორმაცია არ არსებობდა.

სასამართლოს შეფასება

განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ იმ კანონების მიუღებლობა, რომლებზეც მითითებულია 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში, მაშინ, როდესაც ისინი აუცილებელია, რათა აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლებები ეფექტური გახდეს, იწვევს კონვენციის პირველი ოქმის I მუხლით გარანტირებულ უფლებათა დარღვევას. განმცხადებლები მიიჩნევენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, რომლებმაც არ დააკმაყოფილეს მათი სარჩელები ზემოხსენებული საკანონმდებლო ვაკუუმის გამო, მათ არ შესთავაზეს კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება.

მთავრობა მიიჩნევს, რომ ევროსასამართლოს მიერ იმ სადავო სასამართლო პროცედურის განხილვა, რომელიც, მისი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან – 1999 წლის 20 მაისსა და 2002 წლის 7 ივნისს კონვენციისა და მისი პირველი ოქმის ძალაში შესვლამდე მომხდარ ფაქტებთან, აღნიშნულ ინსტრუმენტებს რეტროაქტიულ ძალას მიანიჭებდა.³

განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ ისინი აპროტესტებენ არა რეპრესიის, გადასახლება და ქონების უკანონოდ ჩამორთმევას, რომლებსაც ახორციელებდა საბჭოთა რეჟიმი, არამედ იმ ფაქტს, რომ დღევანდელ ვითარებაში ქართულ სახელმწიფოს არ განუსაზღვრავს კომპენსაციის წესები, რათა შინაარსი შესძინოს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულ მათ უფლებას.

როგორც არ უნდა იყოს მთავრობისა და ეროვნული სასამართლოების არგუმენტები ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით, განმცხადებლები შეახსენებენ, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მათ აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება უფრო ზოგადი საფუძვლით, გადასახლების გამო განცდილი მორალური ზიანიდან და უკანონო დაპატიმრებიდან გამომდინარე. ამასთანავე, უზენაესმა სასამართლომ თავის *obiter dictum*-ში დაადასტურა აღნიშნული უფლების არსებობა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე განაცხადის მიზანია, დადგინდეს, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (საკუთრების უფლების აღდგენა) და მე-9 მუხლების (პატიმრობიდან ან გადასახლებიდან გამომდინარე მორალური ზიანი) შესაბამისად, აქვთ თუ არა განმცხადებლებს, როგორც დევნილი მშობლების შვილებს და თვითონ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებს, ქონებრივი უფლებები და ასეთი უფლებების არსებობის შემთხვევაში, იქნა თუ არა ისინი დაცული.

სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ ევროპული კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს არ აკისრებს არავითარ განსაკუთრებულ ვალდებულებას, აღმოფხვრან მათი წინამორბედების მიერ დაშვებული უსამართლობა ან მათ მიერ მიყენებული ზიანი.⁴ ასევე, პირველი ოქმის I მუხლი სახელმწიფოებს არ უწესებს არავითარ შეზღუდვას იმ პირობების არჩევის თავისუფლებაში, რომელთა ფარგლებშიც ისინი თანახმანი არიან, აღუდგინონ საკუთრების უფლება ქონებაჩამორთმეულ პირებს ან განსაზღვრონ ის წესები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო გადაუხდის ანაზღაურ-

³ *Stamoulakatos c. Grèce* (no 1), arrêt du 26 octobre 1993, série A no 271, p.14, §33 ; *Multiplex c. Croatie* (d.c.), no 58112/00, 26 septembre 2002.

⁴ *Ernevein et autres c. Allemagne* (d.c.), no 14849/08, 12 mai 2009.

რებას ან კომპენსაციას შესაბამის პირებს.⁵ საქმის მასალებიდან და ეროვნული სასამართლოების წინაშე განმცხადებელთა პოზიციიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხაზს უსვამდნენ რა თავიანთ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებებს, განმცხადებლები მიზნად არ ისახავდნენ თავიანთი დედის კუთვნილი, მოძრავი და უძრავი ქონების აღდგენას. ნებისმიერ შემთხვევაში მსგავსი საკუთრების უფლების აღდგენის იმედი შეუძლებელია, მიჩნეულიყო როგორც „ქონება“ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის გაგებით.⁶ განმცხადებელთა ამოცანა მდგომარეობდა ხსენებული კონფისკაციის ღონისძიებიდან გამომდინარე ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის მიღებაში.⁷

1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ „ცალკე კანონი“ კანონმდებელმა აუცილებლად მიიჩნია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის განსაზღვრისათვის.

დასკვნის სახით სასამართლო მიიჩნევს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი, იმ ფორმულირებით, როგორცაც ის ძალაშია 1998 წლის პირველი იანვრის შემდეგ, არ წარმოშობს რეალურ და მოთხოვნად ვალს, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა „ლეგიტიმური მოლოდინის“ დამყარება.⁸

მოცემულ შემთხვევაში 1997 წლის 11 დეკემბრის კანონიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც აღიარებული იქნება იმ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომლებიც განხორციელდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის ოქტომბრამდე პერიოდში, შეუძლია ფულადი კომპენსაციის მიღება აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, თუკი დადასტურებულია, რომ მან განიცადა: თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, სპეციალური დასახლების ადგილზე მოთავსება ან თუ იგი გარდაიცვალა აღნიშნული ღონისძიებების შედეგად. მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეები ასევე სარგებლობენ მითითებული უფლებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე განმცხადებელი აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ პირობებს. ამგვარად, მორალური კომპენსაციის უფლებას, რომელზეც განმცხადებლები აცხადებენ პრეტენზიას, აქვს სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ სამართალში, რომლის გამოყენების პირობებსაც განმცხადებლები აკმაყოფილებენ.⁹

უფრო მეტიც: ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს აქვთ აღნიშნული უფლება, დაადასტურა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებლებს შეუძლიათ მორალური კომპენსაციის მოთხოვნა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე. უზენაესმა სასამართლომ განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით უარყო, რომ „მოცემულ მომენტში“ არ არსებობდა შესაბამისი გამოსაყენებელი საკანონმდებლო ტექსტები.

⁵ von Maltzan et autres, *droit de la vie privée*, §77.

⁶ Gratzinger et Gratzingerova c. République Tchèque [GC], no 39794/98, § 69 in fine, CEDH 2002-VII.

⁷ Sokolowski c. Pologne (droit de la vie privée), no 39590/04, 7 juillet 2009.

⁸ *ibid.*, a contrario, Pressos Compania Naviera S.A. et autres, *droit de la vie privée*, §31.

⁹ *ibid.*, a contrario, Ernewein et autres, *droit de la vie privée*, et Epstein et autres c. Belgique (droit de la vie privée), no.9717/05, CEDH 2008-... (extraits) ainsi que, mutatis mutandis, Jantner c. Slovaquie, no 39050/97, §§29-33, 4 mars 2003.

პირველი ოქმის I მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა დაცული ზუსტი ბალანსი საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის იმპერატივებს შორის. განსაკუთრებით, სასამართლომ უნდა დააზუსტოს, განიცადეს თუ არა განმცხადებლებმა სახელმწიფოს უმოქმედობით გამოწვეული არაპროპორციული და გადაჭარბებული „სიმძიმის შედეგები.“¹⁰ ამ მხრივ, სასამართლო შეახსენებს, რომ ზოგადი ინტერესის განსაზღვრის მიზნით, სახელმწიფოებს შეფასების ფართო არეალი გააჩნიათ. თუმცა, აღნიშნული შეფასების შესაძლებლობა განუსაზღვრელი არ არის და მისი განხორციელება ექვემდებარება კონვენციის ორგანოების კონტროლს.¹¹

ნებისმიერ შემთხვევაში, იმის დაშვებითაც კი, რომ მოცემულ საქმეში სახელმწიფოს უმოქმედობა, იქნება ეს ჩარევა თუ მოქმედებისგან თავის შეკავება (*Broniowski*, § 146), კანონიერ მიზანს ემსახურება, სასამართლოს არაფერი არ აძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ დაცული იყო ზუსტი ბალანსი პირისა და საზოგადოების ინტერესებს შორის. კერძოდ, სასამართლო ვერ ხედავს მიზეზებს, რომელთა გამოც სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულება, მაშინ, როცა მას 11 ნელინადზე მეტი დრო ჰქონდა, გადაედგა თუნდაც მცირე ნაბიჯი 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით *in fine* გათვალისწინებული კანონის მიღების პროცესის დაწყებისკენ, კერძოდ: ზუსტად განესაზღვრა მსხვერპლთა რაოდენობა, ჩაეტარებინა ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური კვლევა საზოგადოების იმ წევრთა მოგებისა და დანაკარგების შესახებ, რომლებსაც აღნიშნული პროცესი შეეხოთ. თვითონ მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი მოტივირებული და დამაჯერებელი არგუმენტი, რათა განემარტა აღნიშნული სრული უმოქმედობის მიზეზი. როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივ ინტერესს, ხელისუფლება ვალდებულია, სათანადო დროში მოახდინოს კორექტული და რაც შეიძლება თანმიმდევრული რეაგირება.¹²

ასეთ პირობებში სასამართლო ასკვნის, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს სრულმა უმოქმედობამ, რამაც განმცხადებლებს ხელი შეუშალა, გონივრულ ვადაში, ეფექტურად ესარგებლათ მორალური კომპენსაციის მიღების უფლებით, გამოიწვია არაპროპორციული და გადაჭარბებული შედეგები, რაც არ შეიძლება გამართლებულ იქნეს მოცემულ საქმეში ხელისუფლების მიერ დაცული, ნავარაუდები კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესით. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

განმცხადებელთა სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის განხილვამდე, სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია იმ შედეგების განხილვა, რაც წინამდებარე განჩინებას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოსთვის კონვენციის 46-ე მუხლის კუთხით. მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას უწევს გადანყვეტილებათა აღსრულებას. კერძოდ, ეს გულისხმობს შემდეგს: როდესაც სასამართლო ადგენს დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს აქვს იურიდიული ვალდებულება, არამხოლოდ გადაურიცხოს განმცხადებელს კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხა, არამედ მინისტრთა

¹⁰ Hutten- Czapska c. Pologne [GC], no 35014/97, § 167 in fine, CEDH 2006-VIII.

¹¹ იხ. სხვათა შორის, Almeida Garrett et autres, *pr* ci, §§49 et 52.

¹² Broniowski, *pr* ci, §151; *mutatis mutandis*, Beyeler c. Italie [GC], no 33202/96, §§110, CEDH 2000-I.

კომიტეტის კონტროლით შეარჩიოს ის ინდივიდუალური და/ან ზოგადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია მის სამართლებრივ სისტემაში სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევის გამოსწორების მიზნით და მაქსიმალურად აღმოფხვრას მისგან გამონვეული საზიანო შედეგები.

პრინციპში, სახელმწიფო თავისუფალია, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით შეარჩიოს ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც იგი აპირებს კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული იურიდიული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს მიერ განჩინებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.¹³ მაგრამ, როდესაც იდენტიფიცირებულია სისტემური ხარვეზი, ეროვნული ორგანოების ვალდებულებაა, მინისტრთა კომიტეტის მეთვალყურეობით მიიღონ, თუ საჭიროა რეტროაქტიულადაც, აუცილებელი ზომები კონვენციის სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად,¹⁴ იმგვარად, რომ შემდგომში სასამართლოს აღარ მოუხდეს მსგავსი დარღვევების განმეორებით დადგენა მრავალრიცხოვან ანალოგიურ საქმეებში.¹⁵

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო შეახსენებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის (REC(2004)3) რეზოლუციას, რომელშიც კომიტეტმა, ხაზი გაუსვა რა თავის ინტერესს, დაეხმაროს სახელმწიფოებს მსგავსი პრობლემების გამოვლენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაში, შესთავაზა სასამართლოს, „მოახდინოს სისტემური ხარვეზებისა და მათი წყაროების იდენტიფიცირება იმ გადანყვეტილებებში, რომლებშიც ის დაადგენს დარღვევებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ხარვეზებს შეუძლია გამოიწვიოს მრავალრიცხოვანი განაცხადების შეტანა სასამართლოში აღნიშნული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამგვარად, დაეხმაროს სახელმწიფოს შესაბამისი გამოსავლის პოვნაში, ხოლო მინისტრთა კომიტეტს – აღსრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებაში“.

რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლო იძულებულია, დაასკვნას, რომ საკანონმდებლო ვაკუუმის პრობლემა, რომელიც მან დაადგინა, არ ეხება მხოლოდ განმცხადებლებს. განმცხადებელთა მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც მსგავსი სახის დარღვევის გამომწვევი ვითარება შეეხოთ, კატეგორიების მიხედვით მერყეობს 600-დან 16.000-მდე. შესაბამისად, აღნიშნულმა სიტუაციამ შესაძლოა, სათავე დაუდოს სასამართლოში დიდი რაოდენობით განაცხადების წარდგენას იმგვარად, რომ მომავალში საფრთხე შეექმნას კონვენციის მიერ ჩამოყალიბებული მექანიზმის ეფექტურობას.

ასეთ პირობებში სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე გადანყვეტილების აღსრულების ფარგლებში, ეროვნულ დონეზე, უდავოდ უნდა გატარდეს ზოგადი ღონისძიებები. სწრაფად უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ზომები, რათა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ პირებს მიეცეთ აღნიშნული დებულებით გარანტირებული უფლებით ეფექტური სარგებლობის შესაძლებლობა.

¹³ Scozzari et Giunta c. Italie [GC], nos 39221/98 et 41963/98, §249, CEDH 2000-VIII; Assanidz c. Gorgie [GC] no 71503/01, §§198 et 202, CEDH 2004-II.

¹⁴ Broniowski, §§192 et 193; Xenides-Arestis c. Turquie, no46347/99, §§39 et 40, 22 décembre 2005; Ghigo c. Malte (satisfaction quitable), no31122/05, §§25-28, 17 juillet 2008; Lukenda c. Slovaquie, no 23032/02, §§89 et suivants, CEDH 2005-X; Scordino c. Italie (no 1) [GC], no 36813/97, § 233, CEDH 2006.

¹⁵ Driza c. Albanie, no 33771/02, § 123 in fine, CEDH 2007-... (extraits); Ramadhi et autres c. Albanie, no 38222/02, §§93 et 94, 13 novembre 2007; Gimez c. Turquie, no 16330/02, §§62 et suivants, 20 mai 2008; Dybeku c. Albanie, no 41153/06, §§63 et 64, 18 décembre 2007.

ზემოსხენებულიდან გამომდინარე, სასამართლო:

- ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი;
- ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ თითოეულ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს:
 - i. 4.000 (ოთხი ათასი) ევრო – მორალური ზიანის ანაზღაურების სახით;
 - ii. აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;
- ბ) მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლებს ერთობლივად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს:
 - i. 3.537 (სამი ათას ხუთას ოცდაჩვიდმეტი) ევრო – განეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით;
 - ii. აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

მოსამართლე კაბრალ ბარეტოს განსხვავებული აზრი

სინანულით უნდა აღვნიშნო, რომ მე ვერ შევძელი, დავთანხმებოდი უმრავლესობას, როდესაც მან დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით.

1. უმრავლესობა განასხვავებს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (საკუთრების უფლების აღდგენა) და მე-9 მუხლებს (ფულადი კომპენსაცია პოლიტიკური რეპრესიის გამო). პირველ შემთხვევაში, სავარაუდოდ, არ არსებობს რეალური და მოთხოვნადი ვალი, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ლეგიტიმური „მოლოდინის“ დამყარება, მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში, სავარაუდოდ, არსებობს „მოთხოვნადობისთვის საკმარისად განსაზღვრული ვალი“. ჩემის მხრივ, მე ვერ ვხედავ ვერავითარ განსხვავებას 1997 წლის 11 დეკემბრის კანონში არსებულ ორ სიტუაციას შორის. საკუთრების უფლების აღდგენისთვის მე-8 მუხლი ითხოვს „ცალკე კანონს“; ფულადი კომპენსაციისთვის კი მე-9 მუხლი ადგენს, რომ კომპენსაციის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენს კანონი. ორივე შემთხვევაში საჭიროა შემდგომი საკანონმდებლო ჩარევა აღნიშნული უფლებების განსაზღვრისა და დაკონკრეტების მიზნით. სწორედ ამ ნაკლოვანებას ეხება განმცხადებელთა პრეტენზიები, რომლებიც „ჩივიან, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებებისთვის შინაარსის მიცემის დაგვიანებით, სახელმწიფო მათ გაურკვევლობასა და მწუხარებაში ამყოფებს (...)“ და რომ „იმ კანონების მიუღებლობა, რომლებზეც მითითებულია 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში, მაშინ, როდესაც ისინი აუცილებელია აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლებებისთვის ეფექტის მინიჭების თვალსაზრისით, იწვევს კონვენციის პირველი ოქმის I მუხლით გარანტირებულ უფლებათა დარღვევას“.

2. სახელმწიფოს ქცევა, ჩემი აზრით, გასაკრიტიკებელია როგორც ერთ, ისე მეორე სიტუაციაში. 1997 წლის შემდეგ საკმარისი დრო გავიდა, რომ სავარაუდო ბენეფიციარებში დაესადგურებინა მნუხარებისა და უიმედობის შეგრძნებას. მაგრამ აღნიშნული არ არის საკმარისი კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის დასადაგენად. აღნიშნული დებულების დარღვევის დასადაგენად აღიარებულ უნდა იქნეს, რომ განმცხადებლები წარმოადგენენ სახელმწიფოსთვის „მოთხოვნადი“ ქონების მესაკუთრეებს. „მოთხოვნად“ ქონებასთან დაკავშირებით არსებული ევროსასამართლოს პრაქტიკა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „(...) როდესაც შესაბამისი ქონებრივი ინტერესი ვალის კატეგორიას განეკუთვნება, მისი მიჩნევა „ქონებრივ ღირებულებად“ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეროვნულ სამართალში საკმარისი საფუძველი აქვს. მაგალითად, როდესაც ის დადასტურებულია კარგად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკით,¹⁶ მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ, კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, მიიჩნია შემდეგი: „იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტი, რომელზეც მიუთითებს მე-9 მუხლი, არ იყო მიღებული, მოცემულ მომენტში განმცხადებელთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფუძველს მოკლებული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო“. არის რა ეროვნულ დონეზე საფუძველს მოკლებული იმ კანონის მიღებამდე, რომელიც დააზუსტებს ფულადი კომპენსაციის ოდენობასა და მისი გაცემის წესს, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული ფულადი კომპენსაცია არ არის „მოთხოვნადი“. ამას ამტკიცებდნენ ეროვნული სასამართლოები და მე ამას ვეთანხმები.

აღნიშნულ კონტექსტში და ჩვენი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მოვალე ვარ, დავასკვნა, რომ მოთხოვნადი ვალის არსებობა არ არის დადგენილი არც კანონში და არც ქართული სასამართლოების პრაქტიკაში; მაშასადამე, განმცხადებლები არ წარმოადგენენ „ამჟამინდელი ქონების“ მფლობელებს, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ საკმარისად განსაზღვრული, დაუყოვნებლივ მოთხოვნადი ვალი. როგორც თვით განმცხადებლები აღიარებენ, მათი უფლებებისთვის ეფექტის მისანიჭებლად აუცილებელია კანონების მიღება.

3. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

¹⁶ Kopecik v. Slovakia [GC], no 44912/98, §52, CEDH 2004-IX.

ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ Case of Tsintsabadze v. Georgia (№35403/06)

2006 წლის 15 აგვისტოს სვეტლანა ცინცაბაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2011 წლის 15 თებერვალს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№35403/06) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-2 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2005 წლის 2 ივნისს განმცხადებლის ვაჟი, ზურაბ ცინცაბაძე დააპატიმრეს პოლიციის ოფიცრებისათვის წინააღმდეგობის განწევის გამო, რომლებიც ცდილობდნენ, არ მიეცათ მისთვის დანაშაულის ჩადენის საშუალება ყოფილი მეუღლის სახლში (ძალადობა და სხვისი საკუთრების დაზიანება). მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით. 2005 წლის 6 ივნისს, სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ, განმცხადებლის ვაჟი რუსთავის №1 საპრობილიდან გადაიყვანეს ხონის №9 საპრობილში. განმცხადებლის მითითებით, იმ დროისათვის მისი ვაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობა – როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური – კარგი იყო. 2005 წლის 30 სექტემბერს განმცხადებლის ვაჟი ჩამომხრჩვალ იპოვეს ციხის საკუჭნაოში. იმავე დღეს ხონის ციხის უფროსმა წერილობით აცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსს, ასევე საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს ზურაბ ცინცაბაძემ თვითმკვლელობა ჩაიდინა, ციხის საკუჭნაოში თავი ჩამოიხრჩო საღამოს 7-დან 8 საათამდე დროის მონაკვეთში.

2005 წლის 1 ოქტომბერს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა შემთხვევის ადგილზე ჩაატარა მოკვლევა ხონის ციხის უფროსის ორ მოადგილესთან ერთად. გამოძიებისათვის საინტერესო ნივთები ადგილზე არ აღმოჩენილა. გამომძიებელმა, ციხის თერაპევტთან ერთად, თერაპევტისავე კაბინეტში გვამი ვიზუალურად დაათვალიერა. გვამს კისერზე აღენიშნებოდა ჩამოხრჩობის კვალი და ძველი ქრილობებისგან დარჩენილი ნაიარევეები. სხეულზე სხვა დაზიანება მათ ვერ აღმოაჩინეს. გამომძიებელმა ოქმში ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე მიუთითა, რომ არსებობდა მტკიცებულებათა დაზიანების რეალური რისკი და რომ ზურაბ ცინცაბაძის გვამი სასამართლო ექსპერტიზისათვის უნდა გადატანილიყო შესაფერის ადგილას.

იმავე დღეს დაკითხეს ორი პატიმარი, რომლებმაც აღმოაჩინეს ზურაბ ცინცაბაძის გვამი. მათი თქმით, როდესაც საკუჭნაოში შეაღწიეს, ნახეს თოკზე ჩამოკიდებული ადამიანი, რომელიც „თავის მოკვლას ცდილობდა“, თუმცა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მათ პატიმარი თოკიდან ჩამოხსნეს. ერთ-ერთმა პატიმარმა საშველად მოუხმო ციხის თანამშრომლებს, რომლებიც საკუჭნაოს ახლოს იყვნენ. მან განაცხადა, რომ სასწრაფო დახმარება რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა, თუმცა სათანადო სამედიცინო დახმარების მიუხედავად, განმცხადებლის ვაჟის გადარჩენა ვერ მოხერხდა. მათ გარდაცვლილი დაახასიათეს როგორც მშვიდი პიროვნება და კატეგორიულად უარყვეს რომელიმე პატიმრის მხრიდან გარდაცვლილზე რაიმე სახის ზეწოლის შესაძლებლო-

ბა. მათი განცხადების თანახმად, ციხეში არავის არ სურდა მისი სიკვდილი.

ციხის თერაპევტის 2005 წლის 1 ოქტომბრის ჩვენების თანახმად, როდესაც ის შემთხვევის ადგილზე მივიდა, გვამი უკვე მიწაზე იყო მოთავსებული. მან გარდაცვლილს კისრიდან თოკი მოხსნა და მის გონზე მოყვანას შეეცადა, რაც წარუმატებლად დასრულდა. ამის შემდეგ გვამი გადაიტანეს მის ოთახში, სადაც მან მისი რეანიმაცია სცადა, თუმცა – კვლავ უშედეგოდ. მან განაცხადა, რომ ბიოლოგიური სიკვდილი უკვე დამდგარი იყო, მაგრამ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა მაინც გამოიძახა.

2005 წლის 1-დან 3 ოქტომბრამდე იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყების - კრიმინალისტიკის ეროვნული ბიუროს („კებ“) ქუთაისის ოფისის ექსპერტმა ჩაატარა გამომძიებლის მიერ დანიშნული სასამართლო ექსპერტიზა. გამოკვლევის შედეგად ექსპერტმა დაასკვნა, რომ სიკვდილი მექანიკური ასფიქსიის შედეგად დადგა, რაც თოკზე დაკიდებამ გამოიწვია. დახრჩობის შედეგად მიღებული დაზიანებების გარდა, კისრის არეში სხვა დაზიანებები ექსპერტმა ვერ აღმოაჩინა.

გარდაცვლილის მამამ განაცხადა, რომ 2005 წლის 30 სექტემბერს, როგორც კი შვილის გარდაცვალების შესახებ შეატყობინეს, მაშინვე წავიდა ხონის ციხეში, სადაც მას ციხის უფროსი შეხვდა, რომელმაც დაარწმუნა, რომ მისმა შვილმა თავი მოიკლა, რისთვისაც გამოიყენა ზენრისაგან დამზადებული თოკი და რომ მისი ვაჟი არავის მოუკლავს. მისი შეკითხვის პასუხად, ხომ არ აიძულა ვინმემ მისი ვაჟი თვითმკვლელობა ჩაედინა, ციხის უფროსმა უპასუხა „არა“ და განაცხადა, რომ „მისმა ვაჟმა თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მისი ცოლი თურქეთში მიდიოდა“. ამის შემდეგ ციხის უფროსმა განმცხადებლის ყოფილი მეუღლე გააგზავნა ქუთაისის პროზექტურაში, სადაც მისი ვაჟის გვამი გადაიტანეს. ქუთაისში განმცხადებლის ყოფილმა მეუღლემ აღმოაჩინა, რომ სასამართლო ექსპერტიზა უკვე ჩატარებული იყო და მან ვაჟის ნეშტი გადაასვენა სახლში, ბათუმში. სახლში განმცხადებელმა და მისმა ყოფილმა მეუღლემ შეამჩნიეს, რომ გვამს არ ეტყობოდა თვითმკვლელობის ჩადენის კვალი. გარდაცვლილს თავის ქალას მარცხენა მხარე ჩამსხვრეული ჰქონდა რადგანაც ამ ადგილას თმა არ იყო გაპარსული, მათ დაასკვნეს, რომ ეს დაზიანება არ იყო მიყენებული სიკვდილის შემდგომ ჩატარებული ექსპერტიზის დროს. შეხებით ისინჯებოდა თავის ქალას დეფორმაცია და აღენიშნებოდა ამობერილობები/კოპები, კისერზე ჰქონდა სისხლჩაქცევა, ყბის ნაწილი გასიებული იყო და ეტყობოდა მოტეხილობა, სისხლჩაქცევა აღენიშნებოდა კისრის ძვალთანაც, რომელიც ასევე მოტეხილი უნდა ყოფილიყო. მარცხენა მკლავი მთლიანად დაფარული იყო სისხლჩაქცევებით; ზურგზე, თირკმლის მიდამოებსა და ხელებზე აღენიშნებოდა მკაფიო სისხლჩაქცევები. მკაფიო სისხლჩაქცევები ჰქონდა აგრეთვე სათესლე ჯირკვლების გარშემოც. გარდაცვლილის მამამ შეამჩნია, რომ დალურჯებები მარცხენა მკლავსა და ხელებზე დიაგონალური ფორმის იყო. მისი აზრით, ცემის დროს მისი შვილი სახის დაცვას ცდილობდა და სახეზე ხელებს იფარებდა. ამიტომ მხოლოდ სახეზე არ აღენიშნებოდა დაზიანებები. 2005 წლის 4 ოქტომბერს შემდგარი გასაუბრებისას განმცხადებლის ყოფილმა მეუღლემ გამომძიებელს სთხოვა მისი ვაჟის გვამის დამატებითი და ობიექტური ექსპერტიზის ჩატარება.

ციხის უფროსმა განაცხადა, რომ ზურაბ ცინცაბაძე წარსულში ბათუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. მან ასევე აღნიშნა, რომ გარდაცვლილს საპატიმროში მოთავსების შემდეგ მნახველი არ ჰყოლია, რასაც ის ძალიან განიცდიდა. ციხის უფროსის ჩვენების თანახმად, ზურაბ ცინცაბაძე წუხდა იმის გამოც, რომ მისი მეუღლე თურქეთში იყო წასული, ხოლო მისი მშობლები კი გაცილებულები იყვნენ. 2005 წლის ოქტომბრით დათარიღებული ცნობის თანახმად, რომელიც საქმის მასალებში

დევეს, განმცხადებლის ვაჟი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფსიქო-ნევროლოგიური კლინიკის პაციენტთა სიაში არ ირიცხებოდა.

2005 წლის 6 ოქტომბერს დაიკითხა ხონის ციხის პატიმარი, რომელიც ამ დოკუმენტში მოხსენიებული იქნება როგორც „X“, რომელმაც განაცხადა, რომ კარგად იცნობდა განმცხადებლის ვაჟს, რადგან ისინი ბათუმში ერთ უბანში დაიბადნენ და გაიზარდნენ და მათი მშობლებიც ამ დრომდე მეგობრობენ. მან აღწერა, თუ რა ვითარებაში შეიტყვევს მან და ციხის სხვა პატიმრებმა ჩამოხრჩობის ფაქტი, რა დროსაც საეჭვო არაფერი შეუმჩნევიათ. „X“-მა, სხვების მსგავსად, განაცხადა, რომ განმცხადებლის ვაჟს ციხეში კონფლიქტი არავისთან ჰქონია; მას არავინ ურეკავდა და არც სანახავად მოდიოდა ვინმე; ზურაბს ძალზე აწუხებდა პირადი პრობლემები ყოფილ მეუღლესთან დაკავშირებით და ჰქონდა მრავალი ნაიარვეი სხეულის სხვადასხვა ნაწილზე.

2005 წლის 7 ოქტომბერს დაიკითხა განმცხადებელი. მან განაცხადა, რომ იგი ურეკავდა შვილს, როდესაც შეეძლო. ერთ-ერთი საუბრის დროს ვაჟმა სთხოვა 50 ლარის გაგზავნა (ქართული ლარი – დაახ. 0.42 ევრო), საიდანაც 10 ლარი იყო სიგარეტის ფული, ხოლო დანარჩენი უნდა შეეტანა „ობშიაკში“ („ობშიაკი“ – პატიმრების უკანონო, საერთო ფონდი). ვინაიდან განმცხადებელი იმ პერიოდში ავად იყო, მის ვაჟს აღნიშნული თანხა მისმა დამ გადაურიცხა. ამის შემდეგ მისმა შვილმა რამდენჯერმე დაურეკა დეიდას და სთხოვა ფული, 30-დან 40 ლარამდე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან დეიდას უთხრა, რომ თუ 10 ლარს არ მიიღებდა, თავს მოიკლავდა. დეიდამ მას აღნიშნული თანხა გაუგზავნა. ჩვენების თანახმად, დაკითხვა შეწყდა იმის გამო, რომ განმცხადებელი საგამოძიებო სამსახურს მიკერძოებულობაში სდებდა ბრალს. მან უარი განაცხადა, ხელი მოეწერა ჩვენებაზე.

2005 წლის 8 ოქტომბერს განმცხადებლისა და მისი ყოფილი მეუღლის თხოვნით ჩატარდა დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზა, რომელსაც მათი ორი წარმომადგენელი და სახალხო დამცველის სამსახურის წარმომადგენელი ესწრებოდნენ. ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განმცხადებლის ვაჟის სიკვდილის მიზეზი იყო ჩამოხრჩობით გამოწვეული მექანიკური ასფიქსია. 2005 წლის 13 ოქტომბერს გამოიძახეს კრიმინალისტიკის სფეროს ექსპერტი, რომელსაც უნდა გამოეკვლია ზურაბ ცინცაბაძის ტანსაცმელი და დაედგინა თოკად გამოყენებულ ზენარზე გაკეთებული კვანძების ტიპი.

2005 წლის 29 ოქტომბერს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იმ უცნობი პირისა თუ პირების წინააღმდეგ, ვინც ზურაბ ცინცაბაძე თვითმკვლელობამდე მიიყვანა. იმავე დღეს განმცხადებელი დაიკითხა დაზარალებულის სახით. მან კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი შვილი განონასწორებელი პიროვნება იყო, რომელსაც ფსიქოლოგიური პრობლემები არ ჰქონდა და საკუთარი თავი ძალიან უყვარდა. ის აცხადებდა, რომ მისი შვილი ჯერ მოკლეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს, რათა შეენიღბათ მკვლელობა. მან მოითხოვა, რომ ამ დანაშაულს მისცემოდა მკვლელობის და არა – თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაცია. განმცხადებელმა მოითხოვა, დადგენილიყო მიზეზები, თუ რატომ არ შეატყობინა ციხის ადმინისტრაციამ მშობლებს დაუყოვნებლივ შვილის გარდაცვალება და რატომ დაუშვეს, რომ ეს პატიმარს გაეკეთებინა; რატომ არ შეატყობინეს და არ მიიწვიეს შვილის გვამის ექსპერტიზაზე დასასწრებად. მან ასევე მოითხოვა იმ გარემოების განმარტება, თუ როგორ შეეძლო მის შვილს საკუჭნაოში შესვლა, რადგან ჩვეულებრივ შემთხვევაში პატიმრებს ჩაკეტილ შენობაში შესვლა ბადრავის გარეშე არ შეუძლიათ. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მან დაიქირავა ნ.ა.-ძე, ადგილობრივი ადვოკატი, რათა იგი გამოძიებაში დახმარებოდა.

2005 წლის 2 ნოემბერს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორმა გამოძიებულს წერილობითი მითითება გაუგზავნა, სადაც აღნიშნავდა, რომ საქმესთან დაკავშირებით განჩინების გამოსატანად ხელახალი გამოძიება უნდა ჩატარებულიყო.

2005 წლის 22 ნოემბერს საოლქო პროკურორმა საქმე დახურა მტკიცებულებათა ნაკლებობის გამო. მან დაასკვნა, რომ განმცხადებლის ვაჟის თვითმკვლელობა არ იყო იმგვარი მუქარის ან ფიზიკური ზეწოლის შედეგი, რომელიც მას თვითმკვლელობამდე მიიყვანდა. რაც შეეხება დაზიანებებს, რომლებიც განმცხადებელმა შვილის სხეულზე აღმოაჩინა, პროკურორმა აქცენტი გააკეთა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, ჩამოხრჩობის შედეგად მიყენებული დაზიანების ნიშნების გარდა, გვამს სხვა არანაირი დაზიანება არ აღენიშნებოდა. გამოძიებელმა მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ აღმოჩენილი ჰემატომები სიკვდილის შემდეგ გაჩენილი გვამური ლაქები იყო, ხოლო სხეულზე არსებული სხვადასხვა ლაქა კი ძველი იყო, როგორც ეს აღნიშნა ციხის ექიმმა იმ დღეს, როდესაც განმცხადებლის შვილი ციხეში მიიყვანეს. სხვადასხვა ჩვენებაზე დაყრდნობით, პროკურორმა დაასკვნა, რომ არანაირი ქმედება არ განხორციელებულა, რაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული იქნებოდა (სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილი). განმცხადებელმა აღნიშნული გადანყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

2006 წლის 9 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო იმ საფუძვლით, რომ ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა და მტკიცებულებათა ერთობლიობით გამოირიცხა დანაშაულის არსებობა. საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს უსაყვედურა, რომ არ მიუთითა ალტერნატიულ საგამოძიებო ზომებზე, რომელთაც გამოძიებისთვის სხვა შედეგის მოტანა შეეძლო.

განმცხადებელმა აღნიშნული გადანყვეტილება გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და თავისი არგუმენტები ხელახლა წამოაყენა. განმცხადებელმა აგრეთვე განაცხადა, რომ საკუთარი წყაროს ინფორმაციით, მისი შვილი თანაპატიმრებმა მოკლეს რუსთავის №1 საპყრობილეში მყოფი ერთ-ერთი თანაპატიმრის ბრძანებით და მოითხოვა ამ საკითხის გამოძიება. მან ასევე აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო 1.78 მეტრი სიმაღლის ადამიანს შესძლებოდა თავი მოეკლა ისეთ პირობებში, როდესაც საკუჭნაოს ჭერის სიმაღლე 2.20 მეტრი, ხოლო სკამის სიმაღლე – 22 სმ იყო. განმცხადებელმა გააკრიტიკა ოფიციალური პირების უუნარობა, დაეცვათ ობიექტი. განმცხადებელი აგრეთვე ასაჩივრებდა, რომ გამოძიებელმა შემთხვევის დათვალიერების ანგარიში მოამზადა ციხის უფროსის მოადგილის განცხადებების საფუძველზე, რომელმაც თავისი კაბინეტიდან ჯერ სკამები გამოიტანა, შემდეგ კი – თოკი და ფეხსაცმელები, რათა „დაედასტურებინა“, რომ ფაქტობრივად თვითმკვლელობა მოხდა. განმცხადებლის დაკვირვებით, სასწრაფო დახმარების ექიმები არ დაუკითხავთ.

2006 წლის 16 იანვარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ იმავე საფუძვლით არ დააკმაყოფილა სარჩელი, რა საფუძვლითაც არ დააკმაყოფილა ქვედა ინსტანციის სასამართლომ. ამავე დროს საქმეზე სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებიც აწარმოებდნენ მოკვლევას.

2006 წლის 9 აგვისტოს წერილით საოლქო პროკურატურამ, რომელმაც 2005 წლის 22 ნოემბერს საქმის დახურვის შესახებ ორდერი გასცა, სახალხო დამცველს უპასუხა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძვლები არ არსებობდა. აღნიშ-

ნული გადანყვეტილების გასამყარებლად პროკურატურამ მიმოიხილა 2005 წლის 22 ნოემბრის გადანყვეტილებაში მოცემული მიზეზები და დაამატა, რომ განმცხადებლის შვილი ციხეში რაიმე ზენოლას არ განიცდიდა.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

კონვენციის მე-2 მუხლის I ნაწილის საფუძველზე განმცხადებელმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მისი შვილი ციხეში მოკლეს, ხოლო მკვლელობა თვითმკვლელობად შეინიღბა და რომ ოფიციალურმა პირებმა ვერ შეძლეს ამ საქმეზე ადეკვატური გამოძიების ჩატარება.

მთავრობამ გააპროტესტა მოცემული არგუმენტი, აღნიშნავდა რა, რომ განმცხადებლის შვილმა ციხეში თავი მოიკლა, მაგრამ მოპასუხე სახელმწიფო ამისთვის პასუხისმგებელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან შესაბამის უწყებებს ამ ტრაგიკული მოვლენის გათვალისწინება არ შეეძლოთ. ასევე არ არსებობს სამედიცინო ჩანაწერები მისი სუიციდური მიდრეკილებების შესახებ. შესაბამისად, ადგილობრივი უწყებებისთვის არ არსებობდა საფუძველი, ევარაუდათ ამგვარი ავბედითი საქციელის ჩადენის შესაძლებლობა და ამგვარად, არ არსებობდა პრევენციული ზომების მიღების საფუძველი.

საქართველოს ციხეებში „მაყურებლისა“ და „ობშიაკის“ ფენომენტთან, ასევე ამ მიმართებით ციხის ადმინისტრაციების როლთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვის პასუხად, მთავრობა აცხადებდა შემდეგს: ვინაიდან ხონის საპყრობილე ყოფილი სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლებისათვის იყო განკუთვნილი, ის, სასაუბრო ენაზე რომ ვთქვათ, „წითელ ზონას“ წარმოადგენდა, რომელიც გამოირიცხავდა ნებისმიერ შესაძლებლობას, რომ პატიმრები კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. შესაბამისად, იქ არანაირი ადგილი არ იყო მაფიის ბოსებისთვის – ეგრეთ ნოდებული „კანონიერი ქურდებისთვის“ - რაც, თავის მხრივ, ხონის საპყრობილეში რაიმე კრიმინალური პრაქტიკის არსებობას გამოირიცხავდა.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საქმის განხილვის დროისთვის „ობშიაკის“ შეგროვების პრაქტიკა საქართველოს ყველა ციხეში ჩვეული რამ იყო, განურჩევლად იმისა, ციხე ე.წ. „წითელი ზონა“ (ციხე, სადაც მხოლოდ ყოფილი თანამდებობის პირები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იხდნენ) იყო, თუ „შავი ზონა“ (ციხე, სადაც სასჯელს ჩვეულებრივი კრიმინალები იხდიდნენ). ამგვარად, „ობშიაკი“ არსებობდა როგორც სავალდებულო „გადასახადი“, რომელსაც ციხის ადმინისტრაციაც უწყობდა ხელს, რადგან მოჰქონდა პირადი სარგებელი და სავალდებულო იყო ყველა პატიმრისთვის, „მაყურებლების“ და კიდევ სხვა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ყოველთვიური გადასახადის გარდა, საერთო ფონდში კიდევ სხვა ტიპის შემოსავლებიც შედიოდა, როგორცაა პატიმრების მიერ აზარტულ თამაშებში მოგებული ნებისმიერი თანხის პროცენტი. „ობშიაკის“ ნაწილს ციხის ადმინისტრაციას უხდიდნენ, რომელიც, თავის მხრივ, სანაცვლოდ ნაკლებად მკაცრ შეზღუდვებს აწესებდა.

სასამართლო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლში მოცემული დაცვის მნიშვნელოვანი ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლომ სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები გულდასმით უნდა განიხილოს და მხედველობაში მიიღოს არამხოლოდ სახელმწიფო მოხელეების მოქმედება, არამედ ყველა არსებული გარემოება.

თავისუფლება აღკვეთილი ადამიანები არიან დაუცველნი და სახელმწიფო უწყებებს ევალებათ მათი დაცვა. შესაბამისად, როცა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მისი დაპატიმრების მომენტში კარგია, ხოლო გამოშვების მომენტში კი მას დაზიანებები აღენიშნება, სახელმწიფო ვალდებულია, დამაჯერებელი ახსნა-განმარტება წარმოადგინოს ამ დაზიანებების გამომწვევ მიზეზთა შესახებ.¹ სახელმწიფო უწყებების ვალდებულება, პასუხი აგონ თავისუფლება აღკვეთილ ადამიანთა მიმართ მოპყრობაზე, კიდევ უფრო მძაფრდება ამ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში.²

გამოძიება უნდა იყოს ეფექტური იმ გაგებით, რომ შესაძლებელი გახდეს ფაქტების დადგენა, პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო შესაძლო ზომა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების, მათ შორის – თვითმხილველთა ჩვენებების, ნივთმტკიცებებისა და, საჭიროებისამებრ, გვამის გაკვეთის შესასრულებლად, რაც ზუსტად აღწერს დაზიანებას და კლინიკური აღმოჩენების, მათ შორის – სიკვდილის მიზეზის ობიექტურ ანალიზს უწყობს ხელს.³ გამოძიების დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს ყველა შესაბამისი ფაქტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ვალდებულება მხოლოდ გამოსაყენებელ ხერხებს მიეკუთვნება და არ არსებობს ბრალდების ან მსჯავრდების აბსოლუტური უფლება, გამოძიების დროს დაშვებული ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის გამოძიების მიერ საქმის გარემოების დადგენასა თუ პასუხისმგებელი პირის გამოვლენას, ვერ აკმაყოფილებს ეფექტურობის მოთხოვნას.⁴

იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტური იყოს, გამოძიებასა და მის წარმართვაზე პასუხისმგებელი პირები დამოუკიდებელი და მიუკერძოებლები უნდა იყვნენ კანონისა და პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს არამხოლოდ მოვლენებში ჩართულ მხარეებთან იერარქიული თუ ინსტიტუციური კავშირების არარსებობას გულისხმობს, არამედ – პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც.⁵ გამოძიების დროს ან მისი შედეგების მიღებისას უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი კრიტიკა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ანგარიშვალდებულება, საზოგადოების ნდობის შენარჩუნება ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისითა და არაკანონიერი ქმედების ხელშეწყობის რაიმე გამოვლენის თავიდან აცილების მიზნით. ყველა საქმეში სავალდებულოა მსხვერპლის უშუალო მემკვიდრის ჩართულობა პროცედურებში, რათა დაცულ იქნეს მისი კანონიერი ინტერესები.⁶ სასამართლომ გამოავლინა არაერთი სერიოზული შეუსაბამობა და ხარვეზი ამ ღონისძიებათა განხორციელების მეთოდში, გამოძიების დაწყებიდან მისი მიმდინარეობის პროცესში. შესაბამისად, ზურაბ ცინცაბაძის საეჭვო სიკვდილთან დაკავშირებული ბევრი მკაფიო შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის შვილი გარდაცვლილი იპოვეს ხონის ციხეში, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რომელიც იუსტიციის სამინისტროს პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშაა. სიცოცხლის განზრახ ხელყოფის შემთხვევის გამორიცხვის შემთხვევაშიც, მოცემული საქმის გარემოები-

¹ იხ. სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ [GC], №25803/94, §87, ECHR, 1999-V.
² კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №27229/95, §91, ECHR, 2001-III და სალმანი თურქეთის წინააღმდეგ [GC], №21986/93, §99, ECHR, 2000-VII).
³ სალმანი, §106; ტანრიკულუ თურქეთის წინააღმდეგ [GC], №23763/94, §109, ECHR, 1999-IV და გიული თურქეთის წინააღმდეგ 22676/93, §89, 2000 წლის 14 დეკემბერი.
⁴ ესაბ ბაირამი თურქეთის წინააღმდეგ, №75535/01, §47, 26 May 2009 და რამში და სხვები ჰოლანდიის წინააღმდეგ [GC], №52391/99, §321, ECHR, 2007-VI.
⁵ რამში და სხვები, ციტირებული ზემოთ, §§ 325 და 333-346, და სკავუცო-ჰაგერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ, №41773/98, §§ 8-86, 2006 წლის 7 თებერვალი.
⁶ გულიჩი თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 27 ივლისი, §82, ანგარიში 1998-IV.

დან გამომდინარე ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ყურადღებით და მიუკერძოებლად გაანალიზებას საჭიროებს, არის ის, თუ რამდენად შეიძლება სიკვდილი გამოენჯია ციხის ადმინისტრაციის დაუდევრობას.

სასამართლო ასევე შენიშნავს, რომ ერთგვარი შეუსაბამობა არსებობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ანგარიშს, რომელიც დაზარალებულად ცნობილი პირის შესაბამის პროცედურაში მონაწილეობის გარეშე არასრულფასოვანია და ალტერნატიული გაკვეთის ანგარიშს შორის, რომელმაც ზურაბ ცინცაბაძის ცხედრის დამატებითი გამოკვლევა გაითვალისწინა, რაც სახალხო დამცველის წარმომადგენლების თანდასწრებით ჩატარდა და, ამგვარად, საზოგადოებრივი კრიტიკის საშუალებას უფრო მეტად იძლეოდა.⁷ სასამართლო იზიარებს რა განმცხადებლის მოსაზრებებს, ამ აღმოჩენებს ვერ მიიჩნევს ზურაბ ცინცაბაძის ციხეში საექვო სიკვდილის სარწმუნო ახსნა-განმარტებად.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების დაწყებისთანავე, პირველივე დაკითხვის დროს, განმცხადებელმა გამოძიებელს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით მოახსენა, რომ მისი შვილი აღელვებული იყო ხონის ციხეში არსებულ „პატიმართა ობშიაკში“ თანხის შეტანის გამო, რაც მისი ნათესავებისგან მუდმივად თანხის შეგზავნას საჭიროებდა. განმცხადებელმა მოგვიანებითაც არაერთხელ გაიმეორა ეს ჩვენება და კონკრეტულად მოსთხოვა სახელისუფლებო უწყებებს, მოკვლევა ამ მიმართულებითაც ეწარმოებინათ.

ზემოთ მოცემული დაკვირვება სასამართლოს საკმარის საფუძველს აძლევს, საქმეში არსებული სხვა შესაბამისი გარემოებების ანალიზის გარეშე, დაასკვნას, რომ განმცხადებლის ვერსია მკვლელობის შესახებ, რომელიც შემდგომ თვითმკვლელობით შეინიღბა, მისაღებია და, სულ მცირე, ისეთივე სანდოა, როგორც – თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსია. ხელისუფლების ორგანოებმა კარგად ვერ გამოიძიეს მკვლელობის ვერსია, მიუხედავად მათი ვალდებულებისა, გამოერკვიათ ყველა ფაქტი.⁸

ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ მოახერხა, დაეკმაყოფილებინა მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, რომელიც დამაკმაყოფილებელ და დამაჯერებელ ახსნას უზრუნველყოფდა ზურაბ ცინცაბაძის ციხეში საექვო გარემოში მომხდარ სიკვდილთან დაკავშირებით და, შესაბამისად, პირდაპირ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აყენებს სიცოცხლის დაკარგვასთან მიმართებით. შესაბამისად, წარმოდგენილ საქმეში სახეზეა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

- დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი;
- მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს:
 - 1) 15,000 (თხუთმეტი ათასი) ევრო – მორალური ზიანის ანაზღაურების სახით;
 - 2) 4,047 (ოთხი ათას ორმოცდაშვიდი) ევრო – განუული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით.

⁷ mutatis mutandis, ბეკერი, §49, და გულეჩი, §82, ციტირებული ზემოთ.
⁸ ვაჩკოვი, §§86-88, და კოლევი, ციტირებული ზემოთ, §201, ორივე ციტირებული ზემოთ.
⁹ მოისიევი პოლონეთის წინააღმდეგ, №11818/02, §65, 24 მარტი 2009 და ბეკერი, ციტირებული ზემოთ, §§55 და 54.

ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ¹

Case of Enukidze and Girgvliani v. Georgia (№25091/07)

2007 წლის 11 ივნისსა და 2008 წლის 17 მარტს ირინა ენუქიძემ (რომელიც გარდაიცვალა 2007 წლის 24 აგვისტოს) და გურამ გირგვლიანმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2011 წლის 26 აპრილს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№25091/07) და დაადგინა, რომ:

- არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილი;
- დარღვეულია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი;
- დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი.

რაც შეეხება კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას, სასამართლომ განაცხადი ამ ნაწილში მიიჩნია დაუსაბუთებლად და შესაბამისად, აღარ განიხილა; სასამართლომ ასევე არ იმსჯელა კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევაზე.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2006 წლის 27 იანვარს, დაახლოებით 23⁰⁰ საათისათვის, მეგობრების ჯგუფი შეიკრიბა თბილისში, კაფე „შარდენში“. ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ: თ.ს.-აია, შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე, დ.ა.-აია, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი, მისი მოადგილე ო.მ.-ოვი, ვ.ს.-ძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დირექტორი, გ.დ.-ძე, სამინისტროს პრეს-სამსახურისა და მინისტრის სპიკერი და ა.კ.-ძე, თ.ს.-აიას მეგობარი. მათთან იმყოფებოდა კიდევ ერთი ქალი, თ.მ.-ძე, ა.კ.-ს მეგობარი.

განმცხადებლების თქმით, იმ საღამოს სანდრო გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე კაფე „შარდენში“ აღნიშნულ ჯგუფზე უფრო გვიან მივიდნენ. განმცხადებლების ვაჟი იმედოვნებდა თ.მ.-ძის ნახვას, რომელიც მას თურმე მოსწონდა. კაფეში შესვლისას იგი მივიდა მაგიდასთან, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე და მისი მეგობრები ისხდნენ, რათა თ.მ.-ძეს მისალმებოდა. მისალმების შემდეგ იგი ლ.ბ.-ძესთან ერთად ახლო მაგიდასთან დაჯდა. რალაც მომენტში მან თ.მ.-ძეს ანიშნა მათ მაგიდასთან გადმომჯდარიყო და თ.მ.-ძემაც შეიცვალა ადგილი. სანდრო გირგვლიანსა და თ.მ.-ძეს შორის დაძაბული საუბარი დაახლოებით 20-30 წუთს გაგრძელდა. როცა ის დაბრუნდა, შს მინისტრის მეუღლემ ჰკითხა, რამე პრობლემა ხომ არ იყო. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ის ესაუბრებოდა, მისი მეგობარი იყო და პრობლემა არ არსებობდა.

¹ კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ განჩინებას ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები: მოსამართლეების – კაბრალ ბარეტოს, ჯოშინესა და პოპოვიჩის ერთიანი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი და მოსამართლე ადვიშვილის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.

2006 წლის 26 იანვარს, დაახლოებით 15⁰⁰ საათისათვის, სანდრო გირგვლიანის გვამი მისმა სამმა მეგობარმა ადგილობრივი მაცხოვრებლის დახმარებით თბილისის გარეუბანში, ოქროყანაში, სასაფლაოსთან იპოვა, რომელიც კაფე „შარდენიდან“ 6.3 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ანგარიშში ნათქვამია, რომ სიკვდილი გამოიწვია ხახის არეში მიყენებულმა ორმა ჭრილობამ. მსხვერპლი ასფიქსიით გარდაიცვალა, როდესაც ჭრილობიდან ხახაში გადასული სისხლი სასულეში გადაიღვარა. ეს სერიოზული, სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობა იყო.

2006 წლის 28 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. იმავე დღეს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დანაშაულებრივი დაჯგუფების ბრალდებითაც. ორივე საქმე გაერთიანდა. 2006 წლის 28 თებერვალს ოქროყანაში მდებარე ერთ-ერთ სახლში განთავსებული ვიდეოკამერის ჩანაწერები მაცხოვრებლის უსაფრთხოების სამსახურის მუშაკმა ამოიღო, რომელიც იმავდროულად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამსახურის თანამშრომელიც იყო. ჩანაწერები 2006 წლის 28 იანვრის დილის 2-3 საათამდე პერიოდს მოიცავს. 2006 წლის 5 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 24 თებერვლის ორდერის საფუძველზე გადაწყვიტა, საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ჩამოერთმია და თბილისის პროკურატურისათვის გადაეცა.

თბილისის საქალაქო პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების ნაწილი

2006 წლის 6 მარტს თბილისის საქალაქო პროკურატურამ შეცვალა გადაწყვეტილება, რომელიც პირველ განმცხადებელს სამოქალაქო მხარის სტატუსს ანიჭებდა და ეს გააკეთა იმ საფუძველით, რომ სამოქალაქო მხარის სტატუსის მინიჭება მხოლოდ დანაშაულის უშუალო მსხვერპლის ანუ განმცხადებლის შვილისათვის იყო შესაძლებელი. ვინაიდან ამ შემთხვევაში უშუალო მსხვერპლი გარდაცვლილი იყო, მხოლოდ ერთ-ერთ მშობელს შეეძლო მისი უფლებამონაცვლეობა.

2006 წლის 6 მარტს ლ.ბ.-ქემ, როგორც სამოქალაქო მხარემ, განცხადება წარუდგინა საქმეზე პასუხისმგებელ გამომძიებელს. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ მას ამ საქმეში ადვოკატის დახმარება არ ესაჭიროებოდა და უარი თქვა ორი მიმდგრებული ადვოკატის მომსახურებაზე. იმავე დღეს ლ.ბ.-ქეს სავარაუდო დამნაშავეების ამოცნობაში დახმარება სთხოვეს ადვოკატის დასწრების გარეშე. ლ.ბ.-ქემ „ექვგარეშე“ ამოიცნო გ.ა.-ია, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, როგორც ერთ-ერთი პირი, რომელიც მოტაცებასა და ოქროყანაში თავდასხმაში მონაწილეობდა.

და ბოლოს, როცა მას ოთხი უცნობი მამაკაცი წარუდგინეს, რომელთა შორის მ.ბ.-ქემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეც იყო, ლ.ბ.-ქემ თქვა, რომ მ.ბ.-ქის გვერდით მდგომი კაცი შესაძლოა, ყოფილიყო თავდასხმის მონაწილე, მაგრამ 100%-ით დარწმუნებული არ იყო. ამ კაცის სახე და აღნაგობა წააგავდა იმ კაცისას, რომელიც სანდროს სცემდა და ლ.ბ.-ქეს მასთან ყველაზე ნაკლები შეხება ჰქონდა.

2006 წლის 6 მარტს დააკავეს გ.ა.-ია. ა.ღ.-ავა და ა.ა.-ური, ასევე – მ.ბ.-ქემ. 2006 წლის 6 მარტს ლ.ბ.-ქემ სამოქალაქო მხარის როლში დაიკითხა.

2006 წლის 1 მაისს, სანდრო გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის საქმეზე პასუხისმგებელი გამოძიებლის თხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხი ექვმიტანილის თანამდებობებიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

სასამართლო განხილვები

2006 წლის 21 ივნისს წინასწარი გამოძიება დაიხურა. პირველ განმცხადებელსა და ლ.ბ.-ძეს გასაცნობად სისხლის სამართლის საქმის ხუთი ტომი გადაეცათ. 2006 წლის 22 ივნისს სანდრო გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა განსახილველად.

2006 წლის 20 ივნისს გ.ა.-იას, ა.ა.-ურს, ა.ლ.-ავასა და მ.ბ.-ძეს ბრალი წაეყენათ სიცოცხლის მოსპობის გამომწვევი სხეულის განზრახ დაზიანებისათვის, დაჯგუფების მიერ წინასწარ განზრახული თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისა და სხვა პირების ქონებაზე ძალადობისა და დაზიანებისათვის. ამას გარდა, გ.ა.-ია, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალაუფლების გადამეტებისათვის იქნა ბრალდებული. საბრალდებო დასკვნას ერთვოდა პროკურატურის მიერ გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების ნუსხაც.

2006 წლის 27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო. 2006 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ა.-ია დამნაშავედ ცნო დაჯგუფების მიერ თავისუფლების უკანონოდ აღკვეთასა და სიცოცხლისთვის საშიშ ძალადობაში, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რომელსაც სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა; თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და სხვა პირის ქონების დაზიანებაში. ასევე, ა.ა.-ური, ა.ლ.-ავა და მ.ბ.-ძე დამნაშავეებად ცნეს 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „თ“ პუნქტების, 117-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 187-ე მუხლის პირველ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის გამო.

2007 წლის 11 იანვარს პირველმა განმცხადებელმა საკასაციო სარჩელი წარადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ 2006 წლის 11 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაზე და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობა, პროცესის დროს მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება და საქმის თბილისის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიზანს სრული და ამომწურავი გამოძიების ჩატარება წარმოადგენდა.

2007 წლის 27 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელიც გასაჩივრების უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს, დაადგინა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი ყოფილი თანამშრომლის – მსჯავრდებულების ბრალი სხვა პირის ქონების დაზიანებასთან დაკავშირებით არ იყო ჯეროვნად დადასტურებული და ისინი ამ ბრალდებისგან გაათავისუფლა, პატიმრობის ვადები ექვსი თვით შეუმცირა, მაგრამ დანარჩენი გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა.

რაც შეეხება საჩივარს მტკიცებულებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ეს საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა და მას შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება არ წარმოშობილა, რომელიც სსსკ-ის 553-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას მიზანშეწონილს გახდიდა. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ

სააპელაციო სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა. და ბოლოს, პირველი განმცხადებლის შუამდგომლობების მიზანი ოთხი მსჯავრდებულის გარდა სხვა პირების სამართალში მიცემაც იყო. თუმცა, სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილისა და 439-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლო სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს არ წარმოადგენს და მისი განსჯადობა ბრალდებით დადგენილი სასჯელის ფარგლებს ვერ გასცდება.

სასამართლოს შეფასება

კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო აცხადებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია, სიცოცხლის უფლება უზრუნველყოს ეფექტური საკანონმდებლო რეგულაციების მიღებით, რომელთა მიზანიც არის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღმოფხვრა. ამგვარი გამოძიების ჩატარების ვალდებულება მკვლელობის, ან სიკვდილის საეჭვო შემთხვევებში წარმოიშევა – მიუხედავად იმისა, თავდამსხმელი კერძო პირი იყო, სახელმწიფო აგენტი თუ უცნობი მხარე.²

გამოძიება წარმატებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისი ფაქტების დადგენასა და პასუხისმგებელი პირების იდენტიფიკაციას შეძლებს. სახელმწიფომ ყველა შესაბამისი ზომა უნდა მიიღოს ინციდენტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების მისაღებად. გამოძიების დასკვნები ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, მიუკერძოებელ და ობიექტურ ანალიზს უნდა ეყრდნობოდეს.

უდავოა, რომ განმცხადებლების შვილის სიკვდილის გამოძიება ნამდვილად ჩატარდა. თუმცა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს სერიოზული ეჭვი აქვს ამ გამოძიების ეფექტურობასა და განუხრელობასთან დაკავშირებით, რაც მთავრობამ წერილობითი მასალების წარმოდგენის ან ზეპირი განცხადებების დროს ვერ აჩვენა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ადრეული ეტაპიდანვე ნათელი იყო შსს-ს წარმომადგენელთა დანაშაულში მონაწილეობა, იგივე ორგანო გამოძიებაზე პასუხისმგებელ პირად მაინც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში – 2006 წლის 5 მარტამდე რჩებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო აცხადებს, რომ გამოძიების ის ნაწილი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2006 წლის 26 იანვრიდან 5 მარტამდე განახორციელა და რომლის დროსაც გამოძიებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების ამოღება მოხდა, აშკარად არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ამ პროცედურული ფაქტორების არარსებობის გამო გამოძიების შემდეგი ეტაპები წინასწარი შეგონებით წარიმართა.³

რაც შეეხება თბილისის საქალაქო პროკურატურის მიერ ჩატარებულ გამოძიებას, სა-

² ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, №55523/00, § 92, ECHR 2007 IX და რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ, №25965/04, § 232, ECHR 2010 ... (ამონაწერები).

³ კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ, 1108/02, §§ 208 და 212, 5 ნოემბერი 2009.

სამართლოს მიაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა იყო ამ ორგანოს მიერ განმცხადებლებისათვის მნიშვნელოვან საგამოძიებო ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებაზე უარის თქმა, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლები მუდმივად ცდილობდნენ ბოლომდე ჩართულიყვნენ მოცემული საქმის ძიებაში. სასამართლოსათვის სანყენია ის, რომ სახელმწიფო ბრალდების ორგანომ განმცხადებლებს არც კი აცნობა მათი არყოფნის დროს ჩატარებული საგამოძიებო ზომების შედეგების შესახებ. ამის გამო განმცხადებლები სრულ ვაკუუმში იყვნენ გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, რისი მიზეზითაც საკუთარი კანონიერი პროცედურული ინტერესების დაცვის საშუალება არ მიეცათ.⁴

სასამართლო შენუხებულია, რომ პროკურატურამ ვერ დაადგინა გარემოებები, რომლის დროსაც სანდრო გირგვლიანმა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აურაცხელი ჭრილობა მიიღო, განსაკუთრებით კი – ყელზე. მაშინ, როცა სასამართლო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ამ ჭრილობებიდან უმეტესობა, მათ შორის ხახაზე მიყენებული სასიკვდილო ჭრილობა მჭრელი, ნვეტიანი და სახელურიანი საგნით, სავარაუდოდ, დანით იყო მიყენებული, პროკურატურამ საჭიროდ არ ჩათვალა გამოეძიებინა და აეხსნა საქმის სპეციფიკური ფაქტების კონტექსტი და ის, თუ კონკრეტულად როგორ, რა მჭრელი იარაღით და ოთხ ბრალდებულს შორის რომელმა მიაყენა ეს ჭრილობები.⁵ სასამართლოს ეჭვიც არ ეპარება, რომ გარდა სხვა ფაქტორებისა, ამ მნიშვნელოვანი ელემენტების დადგენა დანაშაულის შესაბამის კლასიფიკაციაზე მოახდენდა ზეგავლენას. ამის მაგივრად, მიუხედავად სიფრთხილის გამოჩენის საჭიროების მქონე ნიშნების არსებობისა, პროკურატურამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა და მიიღო ბრალდებულების ახსნა-განმარტება, რომ მათ რაიმე მჭრელი საგანი არ გამოუყენებიათ და სანდრო გირგვლიანმა ეს ჭრილობები „მავთულბადიან ღობეზე“ ან „ეკალ-ბარდებში“ მიიღო, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა კვალიფიციური სახელმწიფო ექსპერტის დასკვნას ამ ჭრილობების წარმოშობის თაობაზე.⁶

სასამართლო უკმაყოფილოა იმ ფაქტის გამო, რომ პროკურატურამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ვერ მოახერხეს ოთხი ბრალდებულის ცალ-ცალკე საკნებში განთავსება, რაც ამ მოვლენების მიმდინარეობის დროს მოქმედი პატიმრობის შესახებ კანონის 86-ე მუხლის მეორე ნაწილით პირდაპირ იყო მოთხოვნილი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ადგილობრივ სასამართლო პროცესებში ყველაზე დიდი დარღვევა იყო ის, რომ ადგილობრივი სასამართლო განმცხადებლებს საქმის მასალების გასაცნობად საჭირო დროისა და შესაძლებლობის მიცემაზე განუწყვეტელ უარს ეუბნებოდა, რაც განმცხადებლებს პროცესისათვის საკუთარი პოზიციის მომზადებისა და ეფექტური მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდა.

სასამართლო განსაკუთრებით გაოცებულია იმ ფაქტით, რომ როცა ლ.ბ.-ძემ, სასამართლო მოსმენებამდე გაკეთებული განცხადებების შესაბამისად, სასამართლოზეც – და ამჯერად უფრო დამაჯერებლად და საგამოძიებო და სასამართლო მხარეების საყურადღებოდ – განაცხადა, რომ ო.მ.-ოვი იყო თავდასხმაში მონაწილე მეოთხე პირი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა მისი და სანდროს მიმართ, ამ უფლებამოსილმა ორგანოებმა, ნაცვლად იმისა, რომ საჭირო ყურადღება

⁴ სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ, no.57671/00, §§44, 46-48, ECHR 2004 IX; ორპანი თურქეთის წინააღმდეგ, no.25656/94, §346, 18/06/2002; ბეკერი თურქეთის წინააღმდეგ, no.27866/03, §49, 24 მარტი 2009 და გულეჩი, §82.

⁵ იხ. ვაჩკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, no. 2747/02, § 91, 8 ივლისი 2010.

⁶ იხ. ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, №41488/98, §73, ECHR 2000 VI.

გამოეჩინათ, არჩიეს თვალი დაეხუჭათ ამ სერიოზულ და აშკარა ბრალდებაზე. უფლებამოსილი ორგანოები აუხსნელად ინერტულები დარჩნენ მას შემდეგაც, რაც განმცხადებლებმა ო.მ.-ოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვეს ლ.ბ.-ძის, უშუალო მსხვერპლის განცხადების საფუძველზე. სასამართლოს აზრით, ო.მ.-ოვის – მინისტრის მეუღლის მაგიდასთან მყოფი ჯგუფის წევრის – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა აუცილებელ ზომას წარმოადგენდა იმის დასადგენად, მართლაც იყო თუ არა რაიმე თანამონაწილეობა თავდამსხმელებსა და ჯგუფის წევრებს შორის, როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებდნენ.⁷

სასამართლო აცხადებს, რომ მიუხედავად სერიოზული გარემოებებისა, რომლებიც განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებდა, ხელისუფლების ორგანოებმა ყურადღება არ მიაქციეს განმცხადებლის საფუძვლიან ვერსიას კაფეში მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის მეგობრების ჯგუფსა და დანაშაულის უშუალო განმასხორციელებლებს შორის კავშირის შესახებ. ადგილობრივი ორგანოების ამგვარი სელექციური მიდგომა სასამართლოსათვის მიუღებელია, ვინაიდან გამოძიების ეფექტურობის მიზნით მისი დასკვნები ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ყველა საჭირო ელემენტის ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. გამოძიების სწორი მიმართულებით წაყვანის შეუძლებლობა ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების მხარის უნარს, დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები და პასუხისმგებელი პირები.⁸

სასამართლოს აზრით, თუ სიცოცხლის მოსპობა საეჭვო გარემოებებში სახელმწიფო მოხელის ხელიდან ხდება, შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გამოძიების წარმართვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლისათვის საშიში ამგვარი ქმედებების მიმართ ტოლერანტობის გამოჩენით სახელმწიფო რისკავს თავის თანამშრომლებში დაუსჯელობის შეგრძნების ჩანერგვას.

შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული საკითხები.

კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით

სასამართლო აცხადებს, რომ სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური ბუნებიდან გამომდინარე, ის გარემოებები, რომლებიც სიცოცხლის ხელყოფას ამართლებს, მკაცრად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. კონვენციის მე-2 მუხლი კარტ ბლანშს არ იძლევა. სახელმწიფო მოხელეების მხრიდან გაუნონასნორებელი და თვითნებური მოქმედება ადამიანის უფლებების პატივისცემის შეუსაბამო ქმედებას წარმოადგენს. ეს ასევე ნიშნავს შემდეგს: სახელმწიფომ უფლებამოსილების გადამეტებისა და თვითნებური მოქმედების საწინააღმდეგოდ ადეკვატური და ეფექტური დამცავი სისტემები უნდა შემოიღოს, რათა უზრუნველყოს, რომ მისმა აგენტებმა კარგად გააცნობიერონ საკუთარი ძალაუფლების ზღვარი და თავიანთ საქმიანობაში იხელმძღვანელონ არამხოლოდ პროფესიული რეგულაციებით, არამედ საჭირო დონეზე პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, როგორც ფუნდამენტური ღირებულების მქონე ინსტიტუტს.⁹

⁷ იხ. ბრენელი, §§70-71; კოლევი, §201; და სლიმანი, §29.

⁸ იხ. კოლევი, ნახსენები ზემოთ, §201 და ველიკოვა, ნახსენები ზემოთ §82.

⁹ იხ. საჭირო შესწორებებით აბდულა ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ, no.21899/02, §56, 17 ივნისი 2008; ლეონიდისი, §§54-57.

სასამართლო თავისი, როგორც დამხმარე მექანიზმის, როლიდან გამომდინარე აცნობიერებს, რომ თავი უნდა შეიკავოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციების შესრულებისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის თავიდან აცილება შეუძლებელია, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, როცა ყველა ბრალდება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების ფარგლებში თავსდება, სასამართლო ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ შემთხვევაშიც კი, როცა უკვე ჩატარდა გარკვეული ადგილობრივი პროცედურები და გამოძიება. სასამართლო ვალდებული არ არის, ადგილობრივი სასამართლოს აღმოჩენები გაითვალისწინოს; დამაჯერებელი ელემენტების შემთხვევაში იგი შესაძლოა, გასცდეს და ყურადღება არ მიაქციოს ამგვარ აღმოჩენებს.¹⁰

სასამართლო, იზიარებს რა მთავრობის არგუმენტებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ სანდრო გირგვლიანი სახელმწიფო მოხელეების ხელიდან გარდაიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები მოცემულ მომენტში ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებში არ მოქმედებდნენ. ადგილობრივი სასამართლოების მიერ დადგენილი საქმის გარემოებების მიხედვით, დანაშაული მოხდა მსჯავრდებულების მეგობრის დაბადების დღეზე და ისინი მოქმედებდნენ, როგორც კერძო პირები და არა როგორც სახელმწიფო მოხელეები. ისინი რაიმე დაგეგმილ ოპერაციასა თუ სპონტანურ დევნაში ჩართულები არ ყოფილან. რაც შეეხება განმცხადებლების ვერსიას, რომ მათი შვილი კაფეში მყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა შეკვეთით მოკლეს, სასამართლო საქმის მოცემული მასალების გათვალისწინებით მიაჩნია, რომ შესაბამისი „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულების სტანდარტის გამოყენებით მოცემულ ფაქტზე ამგვარი მასშტაბური დასკვნის გამოტანისათვის მტკიცებულებები არასაკმარისია.

სახელმწიფოებს საკუთარ სამართალდამცავ სტრუქტურებში მაღალი პროფესიული სტანდარტების შემოღება ევალებათ, რაც ამ სისტემაში მოღვაწე ადამიანების მაღალი კრიტერიუმებით შეფასებას უზრუნველყოფს.¹¹ თუმცა, მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ გ.ა.-იას, ა.ა.-ურის, ა.დ.-ავასა და მ.ბ.-ძის კერძო ქმედება მთლიანად უნდა მიენეროს საქართველოს სახელმწიფოს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პირები მისი აგენტები იყვნენ.¹² და მართლაც, ჩადენილი ქმედება იმდენად შემზარავად შეურაცხმყოფელი იყო და იმდენად აღემატებოდა თავდამსხმელების ოფიციალურ სტატუსს, რომ მათი სერიოზული კრიმინალური ქმედება ვერ წარმოშობს სახელმწიფოს არსებით საერთაშორისო პასუხისმგებლობას.

ამგვარად, კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარე არ დარღვეულა.

კონვენციის 38-ე მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოთხოვნილი მტკიცებულებების დაგვიანებით წარდგენასა და ნაწილობრივ წარუდგენლობასთან დაკავშირებული მთავრობის არგუმენტები დამაჯერებელი არ არის. წერილობით პასუხებში მთავრობამ ვერ მოახერხა, გაემართლებინა ეს დარღვევა და ღუმილი შეინარჩუნა მას შემდეგაც კი, რაც განმცხა-

¹⁰ იხ. აქტაში თურქეთის წინააღმდეგ no.24351/94, § 271, ECHR 2003-V და ლეონიდისი, §59.

¹¹ იხ. საჭირო შესწორებებით აბდულა ილმაზი, ნახსენები ზემოთ, §§56-57.

¹² იხ. საჭირო შესწორებებით ჩელიკი თურქეთის წინააღმდეგ, no. 39326/02, §33, 27/05/2010

დებლებმა მათ კიდევ ერთხელ დასდეს ბრალი 2010 წლის 27 აპრილს გამართული საჯარო მოსმენის დროს.

მოპასუხე მთავრობის კონვენციასთან თანამშრომლობისა და ამგვარ რთულ საქმეზე ფაქტების დადგენის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ ვერ მოახერხა კონვენციის 38-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის სავარაუდო დარღვევა

უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებლების საჩივარი სისხლის სამართლის პროცედურების თვითნებურობის შესახებ იმავე ფაქტებს ეფუძნება, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში იქნა განხილული. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ მისი დასაშვებობის საკითხი არსებით მხარესთან უნდა გაერთიანდეს. თუმცა, მრავალმხრივი ფაქტობრივი და იურიდიული აღმოჩენებიდან გამომდინარე და მე-6 მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შეზღუდვის გარეშე სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლების ყველა საჩივარი კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში იქნა განხილული და ამ საკითხების მე-6 მუხლის პირველი ნაწილის ფარგლებში განხილვის საჭიროება აღარ არის.

რაც შეეხება სამოქალაქო პროცესების სამართლიანობასთან დაკავშირებულ საჩივარს, სასამართლო აღნიშნავს, რომ იგი სწორად არ იყო ჩამოყალიბებული, ვინაიდან განმცხადებლებს მის მხარდასაჭერად რაიმე სპეციფიკური მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ. შესაბამისად, განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის ფარგლებში დაუსაბუთებელია და კონვენციის 35-ე მუხლის მეხამე და მეოთხე ნაწილების თანახმად ვერ დაკმაყოფილდება.

კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 და მე-13 მუხლების ფარგლებში აღძრული საჩივარი ახლო კავშირშია მე-2 მუხლის ფარგლებში განხილულ საკითხებთან და, შესაბამისად, დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

თუმცა, კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევების აღმოჩენილი ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მე-3 და მე-13 მუხლების ფარგლებში ცალკე საკითხები არ წარმოიშვება.¹³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო:

- ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი პროცედურული კუთხით, განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით;
- ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ განმცხადებლების შვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან მკვლელობის საქმეში კონვენცი-

¹³ იხ. ნიკოლაევა და ველიჩკოვა, §§77-78; ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ, §106.

- ის მე-2 მუხლის არსებითი მხარე არ დარღვეულა;
- ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი;
 - ერთხმად ადგენს, რომ განცხადების დანარჩენი ნაწილის განხილვის საჭიროება არ არსებობს;
 - ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.
 - ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ მეორე განმცხადებელს ამ განჩინების საბოლოო ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხა:
- ა) 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ევრო – მორალური ზიანის სახით და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;
- ბ) 388 (სამას ოთხმოცდარვა) ევრო – ხარჯებისა და დანახარჯებისათვის და ასევე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

მოსამართლეების – კაბრალ ბარეტოს, ჯოშიენესა და პოპოვიჩის ერთიანი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

ჩვენ, კოლეგების უმეტესობასთან ერთად, მხარი დავუჭირეთ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული დარღვევის არსებობას, მაგრამ ასევე გვჯერა, რომ მოცემულ საქმეში მე-2 მუხლის არსებითი მხარეც დარღვეულია. საამისოდ შემდეგი მიზეზები გაგვაჩნია: საქმეში „ჩაკისი თურქეთის წინააღმდეგ“ ([GC], no.23657/94, §86, ECHR 1999-IV) სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც სიცოცხლის უფლებას იცავს, კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური რეგულაციაა და მე-3 მუხლთან ერთად ევროსაბჭოს შემადგენელი დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას იცავს.¹⁴ დაკისრებული ვალდებულება მხოლოდ სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის გამოყენებით განზრახ მკვლელობას არ მოიცავს. მე-2 მუხლის პირველი ნაწილის პირველი ნინადადება სახელმწიფოებს სიცოცხლის დაცვას კანონის მეშვეობითაც ავალდებულებს.

ამ თვალსაზრისით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მე-2 მუხლის პირველი ნაწილი სახელმწიფოს არამხოლოდ სიცოცხლის განზრახ და არაკანონიერ მოსპობისგან თავის შეკავებას ავალდებულებს, არამედ ასევე საჭირო ნაბიჯებს დგამს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების სიცოცხლის დასაცავად. შესაბამისად, სასამართლოს მოვალეობას წარმოადგენს საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დაადგინოს, გააკეთა თუ არა სახელმწიფომ ყველაფერი, რაც მოეთხოვებოდა, რათა განმცხადებლის სიცოცხლისათვის რისკი აერიდებინა.¹⁵ უფრო მეტიც, სასამართლომ საქმეში „ერთაკი თურქეთის წინააღმდეგ“ (ECHR 2000-V, §132) განაცხადა, რომ „ხელისუფლებას ევალეა ანგარიშვალდებული იყოს მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ადამიანების მიმართ“.

¹⁴ იხ. მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 27/09/1995, §§146-47;

¹⁵ იხ. L.C.B. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, no. 23413/94, §36, ანგარიშები 1998-III.

მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ბ-ნი სანდრო გირგვლიანის სიცოცხლე 2006 წლის 28 იანვარს ნამდვილად სახელმწიფო მოხელეების ხელში იყო, რომლებმაც მისი სიცოცხლე სასიკვდილო რისკის წინაშე დააყენეს და ამ დანაშაულის ჩამდენებად მოგვევლინენ.

ამ პოზიციის მხარდაჭერის მიზნით ჩვენ ხაზს ვუსვამთ შემდეგ ფაქტებს: (ა) იმ დანაშაულის ჩამდენები, რომლის შედეგადაც სანდრო გირგვლიანის სიცოცხლე იქნა მოსპობილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები იყვნენ. (ბ) მოცემულ დამეს სანდრო გირგვლიანსა და მეორე მსხვერპლთან პირველი კონტაქტის დროს დამნაშავეებმა მათ თავი პოლიციის მუშაკებად წარუდგინეს. (გ) ერთ-ერთმა პოლიციელმა მსხვერპლების პირადობის მონმოების მოპოვება სცადა. (დ) დამნაშავეებმა დანაშაულის ჩასადენად შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოფარეხში არსებული მანქანები გამოიყენეს. ამგვარი მანქანების გამოყენება მხოლოდ პოლიციის მუშაკებს შეეძლოთ. (ე) დანაშაულის ჩადენისას პოლიციელებს თან ჰქონდათ საკუთარი სამსახურებრივი იარაღი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს იარაღი არ გამოუყენებიათ მსხვერპლის სიცოცხლის მოსასპობად, დადგენილია, რომ იარაღიდან გასროლა მოხდა იმ ქმედებების დროს, რასაც შედეგად სანდრო გირგვლიანის სიკვდილი მოჰყვა. (ვ) ერთ-ერთმა დამნაშავემ, თანამონაწილეების მობილიზაციისა და დანაშაულში ჩართვის მიზნით, მისი იერარქიული უპირატესობა გამოიყენა. ამის ხაზგასმა მიზანშეწონილია, ვინაიდან ის ამყარებს ჩვენს აღმოჩენას, რომ დამნაშავეებმა დანაშაულის ჩადენის მიზნით თავიანთი ოფიციალური თანამდებობები გამოიყენეს. (ზ) სანდრო გირგვლიანმა სიცოცხლე პოლიციის მუშაკების მიერ დაუნდობელი ცემის შედეგად დაკარგა ისეთ ადგილას, სადაც რაიმე დახმარების მიღება შეუძლებელი იყო და სადაც თავდამსხმელების როლში მყოფ ადამიანებს, სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, სხვა, მსგავს სიტუაციაში მყოფი მსხვერპლის დახმარება ევალებოდათ. ამ დანაშაულის ჩამდენები არამხოლოდ ძალაუფლების გადამეტებით (*ultra vires*) მოქმედებდნენ; მათ განზრახ ჩაიდინეს დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ მათი უპირველესი მოვალეობა კონკრეტულად დანაშაულის აღკვეთა გახლდათ. ასევე, მნიშვნელოვანი კითხვაა, შეიძლება თუ არა დამნაშავეების ქმედება სახელმწიფოს მიენეროს. ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე არის დადებითი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო პასუხისმგებელია თავისი მოხელეების ქმედებაზე. მოცემულ საქმეში თავდამსხმელები სახელმწიფო აგენტები, მაღალი რანგის პოლიციის ოფიცრები იყვნენ და ამგვარადაც მოქმედებდნენ. საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში სახელმწიფო თავს ვერ გაითავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან იმის აღნიშვნით, რომ ამ მოხელეების მოტივები სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგება. საერთაშორისო სამართლის მიერ სახელმწიფოზე დაკისრებული პასუხისმგებლობა მისი აგენტების ქმედებიდან გამომდინარეობს, მიუხედავად დამნაშავეების მოტივისა.

უფრო მეტიც, არამხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდა კანონმდებლობითაც სახელმწიფო ვალდებულია, თავისი მოხელეები ყურადღებით შეარჩიოს. ამ დროს სახელმწიფომ მკაცრი კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით მოვალეობები და ვალდებულებები მაღალი ხარისხით, უმაღლესი პროფესიული სტანდარტებით უნდა გაატაროს. სასამართლომ საქმეში „აბდულა ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ“ (no. 21899/02, § 57) ნათლად აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თავისი პროფესიონალების კომპეტენციის უმაღლესი დონე“. ჩვენ ამ წესს სრულად ვეთანხმებით და ვთვლით, რომ სასამართლოს ყველა შესაბამისი საქმისათვის იგი სავალდებულო უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, ნათლად ჩანს, რომ საქართველომ ვერ მოახერხა პოლიციის მუშაკების შესაბამისი ყურადღებით შერჩევა კონვენციით დაკისრებული სტანდარტის შესასრულებლად.

მოცემულ საქმეში დამნაშავეები სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები არიან, რომელთაც, საკუთარი საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის – სამუშაოს შესრულების პროცესში, თუ მის გარეთ – სამაგალითო ქცევა მოეთხოვებათ, ვინაიდან ისინი წესრიგის დაცვაზე, სამოქალაქო უსაფრთხოებაზე, დანაშაულის პრევენციასა და გამოძიებაზე პასუხისმგებელი სამართალდამცავების სტატუსის მატარებლები არიან. მათ ყველა ზომა უნდა მიეღოთ განმცხადებლების შვილის სიცოცხლის საშიში რისკისგან დასაცავად.

შესაბამისად, შეუსაბამო სამართალდამცავი თანამშრომლების შერჩევით სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი მხარე დაარღვია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემულ მუშაკებს საკუთარი მოტივები ამოძრავებდათ, რაც, ჩვენი აზრით, საეჭვოა და ჯერ კიდევ დასადგენია, ჩანს, რომ სამართალდამცავი სისტემა ვერ აკმაყოფილებს საჭირო სტანდარტებს მოცემულ საქმეში. ეს გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ იმ პოლიციელების ქმედება, რომლებმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობით დასრულებული დანაშაული ჩაიდინეს, უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამის გამო მიგვაჩნია, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, გარდა ამ საქმეში არსებული სხვა დარღვევებისა, მისი არსებითი თვალსაზრისითაც დაირღვა.

41-ე მუხლის სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ ვაცხადებთ, რომ კონვენციის მე-2 მუხლის ორმაგი დარღვევა, ჩვენი აზრით, უფრო მეტ გადასახდელს იმსახურებს მორალური ზიანის სახით.

მოსამართლე ადვიშვილის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

მე ვწუხვარ, რომ კონვენციის მე-2 და 38-ე მუხლების დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხზე სასამართლოს უმრავლესობას ვერ ვეთანხმები.

კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის ინტერპრეტაციისა და გამოყენების საკითხთან დაკავშირებით მე მჯერა, რომ უმრავლესობამ სუბსიდიარულობის პრინციპით, კონვენციის ქვაკუთხედით იხელმძღვანელა. მოცემულ საქმეში სასამართლოს მაინც მოუწია სააპელაციო ორგანოს როლის შესრულება, რომელსაც იგი თავდაპირველად არ აპირებდა. მის პრაქტიკაში სასამართლოს ხშირად უწევს ბალანსის დაცვა სუბსიდიარულობასა და ზედამხედველობას შორის. „ბელგიის განათლების სისტემაში ენების გამოყენების კანონმდებლობის ზოგი ასპექტის შესახებ ბელგიის წინააღმდეგ (არსებითი მხარე)“ საქმეში სასამართლომ უარი თქვა „თავის თავზე აელო კომპეტენტური ადგილობრივი ორგანოების როლი, ვინაიდან ამგვარად იგი კონვენციის მიერ დაწესებული კოლექტიური აღსრულების საერთაშორისო მექანიზმის სუბსიდიარულ ბუნებას დაკარგავდა“ (§10, სასამართლოს მიერ მიღებული ინტერპრეტაცია 1968 წლის 23 ივლისის განჩინება). მოცემული საქმე სწორედ იმ პრინციპს უქმნის საფრთხეს, რომელიც სისტემის ეფექტურობის გარანტიას წარმოადგენს.

მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის საკანონმდებლო ორგანოს მიერ დარღვევის დადგენის დროს სასამართლომ ადგილობრივ სასამართლოებს მიაწერა ის რამდენი-

მე, სხვა ქმედებაც, რომლებიც ვერ ჩაითვლება სასამართლო სისტემის ფუნქციებად და, შესაბამისად, ვერ მიენერება მას. მაგალითად, სასამართლოს მიერ 261-ე-266-ე პუნქტებში აღწერილი დეფინიციები ადგილობრივი სასამართლოების ქმედებასთან კავშირში არ არის.

მოცემულ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო მართლმსაჯულების ერთადერთი ორგანო იყო. ადგილობრივ სასამართლოებს გამოძიების თავად დაწყების ან მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება არ გააჩნდათ. ეს პროკურატურის მოვალეობა იყო.

მოცემულ განჩინებაში სასამართლო აკრიტიკებს ადგილობრივი სასამართლოების ინერტულობას, მაგრამ ისმის კითხვა: ჰქონდათ თუ არა მოცემულ დროს ადგილობრივ სასამართლოებს ის მექანიზმები, რაც სასამართლო სისტემისათვის დღეს წაყენებული ხარვეზების აღმოსაფხვრელადაა საჭირო. პასუხია, რომ სასამართლოს მიერ ზედა პუნქტებში მოყვანილი საკითხები საგამოძიებო ორგანოებს უნდა აეხსნათ და არა – ადგილობრივ სასამართლოებს, ვინაიდან მოცემულ დროს ადგილობრივ სასამართლოს საქმის დამატებითი გამოძიებისთვის დაბრუნების უფლებამოსილებაც კი არ ჰქონდა პროკურატურის თანხმობის გარეშე. ამგვარად, არასწორია ყველა ამ პრობლემის სასამართლო ხელისუფლებისთვის დაკისრება, როცა ამ უკანასკნელს მათი გამოსწორების საშუალება არ ჰქონდა.

რაც შეეხება 38-ე მუხლს, არ ვეთანხმები უმრავლესობის მიერ სასამართლოს პრეცედენტების გამოყენებას. რამდენიმე შემთხვევაში სასამართლომ 38-ე მუხლის დარღვევას მიაგნო მაშინ, როცა მოთხოვნილი მასალები მას არასოდეს წარდგენია.¹⁶

საქმეში „ალიხაჟიევა რუსეთის წინააღმდეგ“ (№68007/01) მოპასუხე მთავრობამ საქმის მასალები მხოლოდ განცხადების დასაშვებად გამოცხადების შემდეგ გადასცა. უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობამ პირდაპირ თქვა უარი საქმის მასალების კომუნიკაციის ეტაპზე წარდგენაზე. თუმცა, 104-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა: „რაც შეეხება 38-ე მუხლს, სასამართლო აცხადებს, რომ იგი გამოყენებადია იმ საქმეებში, რომლებიც დასაშვებად არიან მიჩნეულები. სასამართლოს მიერ დასაშვებობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მთავრობის მიერ პირობების შესრულების გათვალისწინებით სასამართლო აცხადებს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენას ფაქტების დადგენისათვის ან მოცემული საქმის შესაბამისად განხილვისათვის ხელი არ შეუშლია. ამ გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო აცხადებს, რომ სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების დაგვიანებით წარდგენასთან დაკავშირებით კონვენციის 38-ე მუხლი არ დარღვეულა.“

სასამართლოს ამ განმარტებიდან შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქმის მასალების დაგვიანებით წარდგენა 38-ე მუხლის დარღვევად ჩაითვლება, თუ: (1) დაგვიანება პროცესის ისეთ ეტაპზე ხდება, როცა საქმე არსებითად იხილება; (2) დაგვიანების შედეგად ხელი ეშლება ფაქტების დადგენას; (3) დაგვიანება ისეთი სახისაა, რომ სხვაგვარად ხელი ეშლება საქმის სწორად განხილვას.

მოცემულ საქმეში არც ერთი ზემოთ ხსენებული პირობა არ ყოფილა. საქმის დასაშვებობა და არსებითი მხარე ერთსა და იმავე დროს იქნა განხილული და ამ განხილვის

¹⁶ იხ. იმაკაევა რუსეთის წინააღმდეგ no.7615/02, §201; ლიანოვა და ალიევა რუსეთის წინააღმდეგ nos.12713/02; 28440/03, §145; ნევმერჟიცი უკრაინის წინააღმდეგ no.54825/00 §77.

პერიოდში ყველა მოთხოვნილი მასალა სასამართლოს ჰქონდა. ამავდროულად, დაგვიანება ისეთი არ ყოფილა, რომ საქმეზე ფაქტების დადგენას ან სხვაგვარად განხილვას ხელი შეშლოდა. ამ საქმეზე მიღებული განჩინება პირდაპირ აჩვენებს, რომ, მიღებული მასალებიდან გამომდინარე, სასამართლომ შესაბამისი ფაქტობრივი მოსაზრება გამოიტანა და შესაბამისი იურიდიული დასკვნაც გააკეთა. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ ვერ მოახერხა თავისი ფუნქციების შესრულება მთავრობის მიერ კონვენციით ნაკისრი უფლებების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, ამ საქმეში არ იყო არც ერთი ელემენტი, რომელსაც შეეძლო 38-ე მუხლის დარღვევა გამოეწვია.

ეს პრეცედენტი კონვენციის 38-ე მუხლის გამოყენებისათვის საშიშ მიდგომას ქმნის, ვინაიდან მისი მეშვეობით მთავრობებს შესაძლოა არ მოუხდეთ სასამართლოსათვის მათ ხელთ არსებული მასალების წარდგენა, ვინაიდან იციან, რომ თუ ამ მასალებს გარკვეული დაგვიანებით წარადგენენ, სასამართლომ შესაძლოა 38-ე მუხლის დარღვევა მაინც დაადგინოს. ამგვარი მიდგომა საუკეთესო არ არის, სასამართლოს უმთავრესი მიზნის შესრულების თვალსაზრისით.

საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ¹

Case of Saghinadze and others v. Georgia (№18768/05)

2005 წლის 27 აპრილს საქართველოს ექვსმა მოქალაქემ – ბათალბი საღინაძემ („პირველი განმცხადებელი“), ლია საღინაძემ („მეორე განმცხადებელი“), ვასილ საღინაძემ („მესამე განმცხადებელი“), ნანა ბლიაძემ („მეოთხე განმცხადებელი“), ქეთევან საღინაძემ („მეხუთე განმცხადებელი“) და ნინო საღინაძემ („მეექვსე განმცხადებელი“) განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2010 წლის 27 მაისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№18768/05) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, მე-13 მუხლი და პირველი ოქმის I მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები (გარდა მეოთხე განმცხადებლისა) წარმოადგენენ 1992-93 წლებში აფხაზეთში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს. პირველ განმცხადებელს მაღალი თანამდებობა ეკავა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1994 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა მას შესთავაზა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი. მას შემდეგ, რაც პირველმა განმცხადებელმა მიიღო შეთავაზებული თანამდებობა, ის და მისი ოჯახი შესახლდნენ სამინისტროს კუთვნილ კოტეჯში, რომელიც მდებარეობდა თბილისის გარეუბანში, ავჭალის ქუჩაზე, №15-ში („კოტეჯი“).

2000 წლის 20 აპრილს სამინისტრომ გასცა წერილი, რომელიც ადასტურებდა პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფლობის მართლობიერებას. წერილის თანახმად, პირველი განმცხადებელი და მისი ოჯახი კოტეჯში შესახლდნენ 1994 წელს, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა 1996 წლის 28 ივნისის აქტს იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ. წერილში ასევე მითითებული იყო, რომ საკუთრება დროებითია, მაგრამ პერიოდი არ იყო დაკონკრეტებული და რომ მესაკუთრე ვალდებულია, გაუფრთხილდეს საკუთრებას. წერილის ასლი ინფორმაციისათვის გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

კალაძის საქმე

2003 წელს მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახლად დანიშნულმა შს მინისტრმა გამოიძახა პენსიაზე გასული პირველი განმცხადებელი და სთხოვა ეხელმძღვანელა კალაძის საქმის გამოძიებისათვის. ეს იყო გახმაურებული სისხლის სა-

¹ კონვენციის 45-ე მუხლის II პუნქტისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის II პუნქტის თანახმად, განაჩენს დართული აქვს: მოსამართლე ჯოშიენეს ნაწილობრივ თანმხვედრი მოსაზრება და მოსამართლე კაბრალ ბარეტოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

მართლის საქმე, რომლის გახსნასაც 2001 წლიდან უშედეგოდ ცდილობდნენ სამართალდამცავები და რომელიც შეეხებოდა კახა კალაძის – „მილანის“ საფეხბურთო კლუბში მოთამაშე ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ძმის გატაცებასა და გაუჩინარებას. პირველმა განმცხადებელმა მიიღო შემოთავაზება; შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით იგი დაანინაურეს, მიანიჭეს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება და დანიშნეს დამოუკიდებელი საგამოძიებო ერთეულის ხელმძღვანელად, რომელიც იძიებდა კალაძის საქმეს და გატაცების სხვა გახმაურებულ ფაქტებს.

პირველი განმცხადებლის ჩვენების თანახმად, მის დაქვემდებარებაში მყოფმა საგამოძიებო ერთეულმა მომდევნო თვეების განმავლობაში გამოავლინა გარემოებები კალაძის საქმესთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ახლად გამოვლენილი ინფორმაცია პრობლემებს უქმნიდა ზოგიერთ მაღალჩინოსანს, რომლებიც იდგნენ ქართული ფეხბურთის სფეროში ჩადენილი კრიმინალური მაქინაციების უკან და 2004 წლის 30 მარტს გენერალურმა პროკურორმა, ბნ-მა ი.ო.-მა პირადად სთხოვა პირველ განმცხადებელს შეენწყვიტა საქმის გამოძიება. 2004 წლის ივნისში გენერალური პროკურორი, ბ-ნი ი. ო. დაინიშნა შს მინისტრის პოსტზე. სავარაუდოდ, ახლად დანიშნულმა მინისტრმა პირველი განმცხადებელი ჩამოაშორა კალაძის საქმეს და 2004 წლის 26 ივნისს დამამცირებელი ფორმით გამოაძევა კაბინეტიდან. 2004 წლის 13 ოქტომბერს პირველმა განმცხადებელმა უშიშროების ეროვნულ საბჭოს – საქართველოს პრეზიდენტის კონსულტანტ ორგანოს – გადასცა კონფიდენციალური ფაილი. სავარაუდოდ, ფაილი შეიცავდა ინფორმაციას ბ-ნი ი. ო.-ისა და სხვა მაღალჩინოსნების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ.

გასახლება კოტეჯიდან

2004 წლის 25 ოქტომბერს შს მინისტრის – ი.ო.-ის მიერ გაცემული ზეპირი განკარგულების საფუძველზე პოლიციამ განმცხადებლებს მოსთხოვა კოტეჯის დაცლა. პირველმა განმცხადებელმა პოლიციას წარუდგინა მინისტრის 2000 წლის 20 აპრილის წერილი, რაც ადასტურებდა ფლობის მართლზომიერებას და ოფიცრებს სთხოვა მისი საცხოვრებელიდან წასვლა. 2004 წლის 30 ოქტომბერს პოლიცია ისევ მივიდა საღინაძეების ოჯახში, იმავე მოთხოვნით, მაგრამ ვინაიდან პოლიციამ ვერ წარმოადგინა სასამართლოს გადაწყვეტილება, პირველმა განმცხადებელმა ისინი სახლში არ შეუშვა.

2004 წლის 31 ოქტომბერს პოლიციამ განმეორებით სცადა განმცხადებლების გასახლება. განმცხადებლების ჩვენების თანახმად, დაახლოებით სამოცი ნიღბიანი, შეიარაღებული სპეცდანიშნულების ძალების წარმომადგენელი შეიჭრა მათ კოტეჯში. ოპერაციას ხელმძღვანელობდა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსი. პოლიციამ იძულებით გამოაძევა კოტეჯიდან მეორე განმცხადებელი და მისი ოჯახის ნათესავები. გასახლების შემდეგ კოტეჯში დაბანაკდა რამდენიმე პოლიციელი. პოლიციამ ასევე დაიკავა მიმდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენდა მეექვსე განმცხადებლის რეგისტრირებულ საკუთრებას.

მოთხოვნილი უფლებრივი დაცვა (remedies pursued)

2004 წლის 1 ნოემბრის ინციდენტის შემდეგ პირველმა განმცხადებელმა სამოქალა-

ქო და სისხლისსამართლებრივი წესით გაასაჩივრა კოტეჯის უკანონოდ ჩამორთმევა და შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან მის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა. მფლობელობის აღდგენის თაობაზე პირველი განმცხადებლის სარჩელის განხილვისას ადგილობრივმა სასამართლომ გამოკვლევა შეზღუდა და შემოიფარგლა მხოლოდ პირველი განმცხადებლის საკუთრების უფლების გამოკვლევით.

პირველი განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ის და მისი ოჯახი მართლზომიერად ფლობდნენ კოტეჯს, რომელიც 1994 წლიდან წარმოადგენდა მათ ბინას და სასამართლოსგან ითხოვდა კოტეჯში დარჩენის ნებას დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, რაც 2004 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მთანმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა.

თუმცა, მთანმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უარი განაცხადა მისი გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ ბრძანების გაცემაზე. 2005 წლის 13 თებერვალს პირველმა განმცხადებელმაც გაასაჩივრა 2004 წლის 30 დეკემბრის განჩინება, რომელიც შეეხებოდა განჩინების დაუყოვნებელ აღსრულებას. 2005 წლის 19 დეკემბერს თბილისის რაიონულმა სასამართლომ დანიშნა საქმის არსებითი განხილვა. სამინისტრომ განაცხადა, რომ მან არაერთხელ შესთავაზა პირველ განმცხადებელს კოტეჯიდან მისი პირადი და ოჯახის კუთვნილი ნივთების გატანა, თუმცა ამ უკანასკნელმა თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და განმეორებით მიუთითა, რომ პირველ განმცხადებელს შეეძლო მფლობელობის აღდგენა კოტეჯზე მესაკუთრისაგან – მოპასუხე სამინისტროსაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კოტეჯს თავდაპირველად ლეგიტიმურად დაეუფლა. ვინაიდან პირველმა განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომელიც დაადასტურებდა 1994 წელს მის მიერ კოტეჯის დაკავებას, პირველი განმცხადებლის მიერ კოტეჯის შემდგომი ფლობა არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერ ქმედებად. რაც შეეხება მოპასუხე სამინისტროს 2000 წლის 20 აპრილის წერილს, უზენაესმა სასამართლომ არ მიიჩნია იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 8 სექტემბრის №487 ბრძანებულების თანახმად, მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გააჩნდა კერძო პირებთან ასეთი ტიპის გარიგებების დადების კომპეტენცია. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩნია, რომ იძულებითეგადაადგილებულ პირთა შესახებ აქტით გათვალისწინებული ბინით დაკმაყოფილების გარანტია არ ვრცელდება მოცემულ სიტუაციაზე. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტროს, როგორც კოტეჯის კანონიერ მფლობელს, უფლება ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე პირველი განმცხადებლისათვის საკუთრება ჩამოერთმია.

უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ წარმოადგინა განსხვავებული დასკვნა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული ფაქტები ადასტურებდნენ, რომ პირველი განმცხადებელი კოტეჯს მინიმუმ კეთილსინდისიერად ფლობდა. თუ დავუშვებთ, რომ იგი არ იყო კოტეჯის ლეგიტიმური მფლობელი, მოპასუხე სამინისტროს არ ჰქონდა კოტეჯის ჩამორთმევის უფლება სათანადო პროცესის გარეშე და ძალის გამოყენებით, სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით. მოსამართლე ასკვნიდა, რომ პირველ განმცხადებელს ჰქონდა კოტეჯის მფლობელობაში დაბრუნების მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის *in fine* საფუძველზე.

2004 წლის 22 ნოემბერს პირველმა განმცხადებელმა გენერალურ პროკურატურას სთხოვა, აღედრა სისხლის სამართლის საქმე 2004 წლის 1 ნოემბრის თვითნებური და ძალადობრივი გასახლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან მის მიერ წარმოებული კალაძის საქმის გამოძიებისათვის ხელის შეშლის ფაქტებზე.

სისხლის სამართლის პროცესი პირველი განმცხადებლის წინააღმდეგ

2006 წლის 20 მარტს გენერალურმა პროკურატურამ, კალაძის საქმის გამოძიების პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, აღძრა სისხლის სამართლის საქმე უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, რომელიც, სავარაუდოდ, ჩაიდინა პირველი განმცხადებლის საგამოძიებო ერთეულმა 2004 წელს. 2006 წლის 2 ივნისს პირველ განმცხადებელს ბრალი წაუყენეს იარაღის უკანონოდ ფლობის, ოფიციალური დოკუმენტების მითვისების, ადამიანისადმი ცუდი მოპყრობის, მტკიცებულებების ფაბრიკაციისა და საჯარო სამსახურში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვა ფაქტების გამო. 2006 წლის 4 ივნისს პირველი განმცხადებელი დააპატიმრეს და მომდევნო დღეს პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა სასამართლო პროცესამდე მისი პატიმრობაში დატოვების შესახებ.

2007 წლის 22 თებერვალს პირველი განმცხადებელი პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო მისთვის წაყენებულ ბრალში და 7 წლით პატიმრობა მიუსაჯა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრი ძალაში დატოვა ბოლო ინსტანციამ – უზენაესმა სასამართლომ 2007 წლის 19 დეკემბერს და პირველი განმცხადებელი ამჟამად იხდის სასჯელს საპატიმროში.

სასამართლოს შეფასება

მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებთან დაკავშირებით

სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებლები არ ყოფილან სადავო სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების მხარეები. საქმის მასალების თანახმად, ამ ხუთ განმცხადებელს არ მიუცია პირველი განმცხადებლისათვის ან ადვოკატისათვის მათი სახელით მოქმედების უფლებამოსილება და არც კომპეტენტური სასამართლო ან საპროკურორო უწყებისათვის არ მიუმართავთ საკუთარი წერილობითი ან/და ზეპირი განცხადებით.² აღნიშნულის სამართლებრივი შედეგი იყო, მაგალითად ის, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა პირველი განმცხადებლის სამართლებრივი სიტუაციით შეზღუდეს განჩინების ფარგლები მფლობელობის აღდგენის თაობაზე გამართულ პროცესში, დანარჩენი ხუთი განმცხადებლის უფლებების გამოცხადების გარეშე.³

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე განმცხადებლები არ თავისუფლდებიან ადგილობრივი სასამართლო პროცესების განხორციელების მოთხოვნისაგან. შესა-

² see, P., C. and S. v. the United Kingdom (dec.), no. 56547/00, 11 December 2001.

³ Khamidov v. Russia, no.72118/01, §§27, 28, 48-50 and 125, ECHR 2007 XII, and P, C and S, cited above.

ბამისად, მათი პრეტენზიები არ უნდა იქნეს განხილული, კონვენციის 35-ე მუხლის I და IV პუნქტების მიხედვით.

პირველი ოქმის I მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ „მფლობელობის“ ცნებას – პირველი ოქმის I მუხლის პირველ ნაწილს ავტონომიური მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ნივთების მესაკუთრეობით და დამოუკიდებელია ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ფორმალური კლასიფიკაციისაგან. გამოსაკვლევი საკითხი შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთიანობა განმცხადებელს ანიჭებს საკუთრების უფლებას იმ მატერიალურ ინტერესზე, რომელსაც იცავს აღნიშნული დებულება.⁴ შესაბამისად, ისევე როგორც ფიზიკური ნივთები, კონკრეტული უფლებები და ინტერესი, რომლებიც წარმოადგენენ აქტივებს, შეიძლება ასევე ჩაითვალოს „მფლობელობად“, ამ დებულების საჭიროებებიდან გამომდინარე.⁵ „მფლობელობის“ ცნება არ იზღუდება „არსებულ მფლობელობად“, იგივე შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, მათ შორის – მოთხოვნებს, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია იდაოს, რომ მას გააჩნია, სულ მცირე, იმის გონივრული და „მართლზომიერი მოლოდინი“, რომ შეძლებს საკუთრების უფლებით სარგებლობას.⁶ „მოლოდინი“ მართლზომიერია, თუკი იგი ემყარება საკანონმდებლო დებულებას ან ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება საკუთრების ინტერესს.⁷

სასამართლო დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ სამინისტროს მიერ კოტეჯის პირველი განმცხადებლისათვის დროებით თავშესაფრად გადაცემის შემდეგ სახელმწიფომ, სხვადასხვა ნორმატიული აქტის შემოღებით, დაამტკიცა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და შეიმუშავა სტაბილური გარანტიები მათ დასაცავად. ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული მათ შორის იყო აქტი დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, რომელიც აღიარებდა, რომ დევნილთა მიერ საცხოვრებლის კეთილსინდისიერი ფლობა წარმოადგენდა მატერიალურ/ფინანსურ უფლებას. ამგვარად, შეუძლებელი იყო იძულებით გადაადგილებული პირის საცხოვრებლიდან გამოსახლება, მისი ნების წინააღმდეგ და მსგავსი ალტერნატიული თავშესაფრის ან ფულადი კომპენსაციის შეთავაზების გარეშე.

აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი მოსაზრებების გათვალისწინებით და ასევე, მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველ განმცხადებელს უფლება ჰქონდა, კოტეჯი გამოეყენებინა ბინად და რომ ამ უფლებას გააჩნდა ნათელი მატერიალური (ფულადი) განზომილება. შესაბამისად, იგი უნდა ჩაითვალოს „მფლობელობად“, პირველი ოქმის I მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.⁸

უნდა აღინიშნოს, რომ როცა სასწორზე დევს კონვენციით, ან მისი პროტოკოლებით გათვალისწინებული უფლებები, სასამართლო არ იზღუდება ადგილობრივი სასამარ-

⁴ see, *mutatis mutandis*, *Zwierzyski v. Poland*, no. 34049/96, § 63, ECHR 2001-VI.

⁵ *Iatridis v. Greece* [GC], no.31107/96, §54, ECHR 1999-II, and *Beyeler v. Italy* [GC], no.33202/96, §100, ECHR 2000-I.

⁶ *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, §83, ECHR 2001-VIII.

⁷ see *Kopec̆k̆a v. Slovakia* [GC], no. 44912/98, §§ 45-52, ECHR 2004 IX.

⁸ see *Minasyan and Semerjyan v. Armenia*, no. 27651/05, § 56, 23 June 2009.

თლოების დასკვნებით და შეუძლია გასცდეს მათ ან გადადოს გვერდზე, თუ ეს გარდაუვალია კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.⁹

სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ უზენაესი სასამართლოს პოზიცია პირველი განმცხადებლის ირგვლივ შექმნილი სიტუაციის მიმართ ენინააღმდეგება მისსავე განაჩენს, რომელიც მსგავს საქმეზე – „ხინთიბიძე და სხვები“ – გამოიტანა სასამართლომ 2001 წლის 28 ნოემბერს. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უწყებას აუკრძალა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი შენობის ჩამორთმევა დევნილთათვის, რომლებიც, პირველი განმცხადებლის მსგავსად, აღნიშნულ შენობაში 1993 წლიდან ცხოვრობდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვის გარეშე. სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ სადაც ასეთი მკაფიოდ ურთიერთსაინააღმდეგო გადაწყვეტილებები გამომდინარეობს ერთი და იმავე იურისდიქციიდან და შეუსაბამობის არანაირი გონივრული ახსნა-განმარტება არ არის წარმოდგენილი, ასეთ გადაწყვეტილებებს თვითნებურობის ელფერი დაჰკრავს.¹⁰

ზემოთ მოყვანილი დასკვნების ფონზე სასამართლო ადგენს, რომ ჩარევა პირველი განმცხადებლის მიერ მფლობელობის მშვიდობიან სარგებლობაში არ იყო კანონიერი, ხოლო შემდგომი სამართლებრივი განხილვა, რომელიც თვითნებური ხასიათის მატარებელია, უტოლდებოდა სამართლიანობის უარყოფას. ამ დასკვნის ფონზე ზედმეტია იმის გარკვევა, ჩარევა მართლზომიერ მიზნებს ემსახურებოდა თუ არა, და თუ ემსახურებოდა, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი.¹¹ ამგვარად, დაირღვა პირველი ოქმის I მუხლი.

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ კოტეჯის ჩამორთმევა, რომელიც იყო პირველი განმცხადებლის ბინა ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პირველი ოქმის I მუხლის დარღვევასთან ერთად წარმოადგენდა უკანონო ჩარევას საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში.¹² შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო მიუთითებს, რომ აღკვეთის ზომად დაკავების დანესების შესახებ პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობის ერთ-ერთი საფუძველი, რაც დააკმაყოფილა სასამართლომ, საკმარისად ახლო კავშირში იყო საქმის გარემოებებთან. კონკრეტულად, იყო იმის შიში, რომ გათავისუფლების შემთხვევაში პირველი განმცხადებელი ისარგებლებდა თავისი, როგორც ყოფილი ძალოვანი მალაჩინოსნის ავტორიტეტით და შეეცდებოდა მხარეებზე ზეგავლენის მოხდენას. სასამართლოს არ მი-

⁹ see, among many other authorities, *Assanidze v. Georgia* [GC], no.71503/01, §171, ECHR 2004-II; *Bruncon v. Finland*, no.41673/98, §75, 16 November 2004; *J.A. Pye (Oxford) Ltd and J.A. Pye (Oxford) Land Ltd v. the United Kingdom* [GC], no.44302/02, §75, ECHR 2007 X; *Khamidov*, cited above, §135; *Matyar v. Turkey*, no. 23423/94, §108, 21 February 2002.

¹⁰ see *Beian v. Romania* (no.1), no.30658/05, §§37-40, ECHR 2007 XIII (extracts); *Viniuj and Others v. Serbia*, nos. 44698/06, 44700/06, §56, 1 December 2009; *Tudor Tudor v. Romania*, no.21911/03, §29, 24 March 2009.

¹¹ see, *Akimova*, cited above, §§39-51, 27 September 2007, and *Khamidov*, cited above, §§141- 145.

¹² see, *Khamidov*, cited above, §§119- 146, and *Dopan and Others*, cited above §159.

აჩნია, რომ დასაბუთების ეს მოტივი აშკარად არაგონივრული ან შეუსაბამო იყო მოცემული დროისათვის.

სასამართლო ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლოს 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებებთან მიმართებით.

რაც შეეხება 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებას, სასამართლო მიუთითებს, რომ 2006 წლის 29 ივნისის პირველი განმცხადებლის დაკავების ფაქტის დამტკიცებით თბილისის საქალაქო სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი ვალდებულება და დამაჯერებელი წესით დაედგინა კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამართლებდა ხანგრძლივ დაკავებას და განეხილა ალტერნატიული, არასაპატიმრო აღკვეთის ზომები, იმოქმედა სათანადო გულმოდგინების გარეშე და გამოსცა შაბლონური გადაწყვეტილება წინასწარ დაბეჭდილი, აბსტრაქტული ტერმინებით გაჯერებული სამოტივაციო ნაწილით. ამ ნაკლოვანმა გადაწყვეტილებამ პირველი განმცხადებელი დამატებითი ექვსი თვითა და ოცდაოთხი დღით დააბრუნა პატიმრობაში. დაკავების ეს პერიოდი არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად, თუ მას განვიხილავთ შესაბამისი დასაბუთების არარსებობის ფონზე.¹³

სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

სასამართლო ადგენს: იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პირველმა განმცხადებელმა და მისმა ორმა ადვოკატმა მონაწილეობა მიიღეს საქმის შეჯიბრებით ზეპირ მოსმენაში პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო პროკურორს კომენტარი არ გაუკეთებია დაკავების ორდერის შესახებ მის მიერ შეტანილ სარჩელზე და რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2006 წლის 14 ივნისის საქმის ზეპირი მოსმენა არ ჩატარებულა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძალთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების „ძირგამომთხრელ ქმედებად“ პირველი განმცხადებლის საზიანოდ. ამგვარად, 2006 წლის 14 ივნისის განხილვებისას არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

რაც შეეხება ზეპირი მოსმენის არჩატარებას 2006 წლის 29 ივნისს, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ პროკურორის განცხადებაზე დაყრდნობით დააკანონა პირველი განმცხადებლის ხანგრძლივი დაკავება – სასამართლო მიუთითებს, რომ ამგვარი სიტუაცია უკვე მიჩნეულ იქნა არათავსებადად კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან მსგავს საქმეში.

2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვა ვერ ჩაითვლება შეჯიბრებითობის ნიშნის მატარებლად, სადაც დაცული იყო ძალთა თანასწორობის პრინციპი. გადაწყვეტილების ფორმაც კი – შაბლონი, რომელშიც დასკვნა წინასწარ იყო ჩაბეჭდილი – ხაზს უსვამს იმას, რომ 2006 წლის 29 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე არ განუხილავს სათანადო წესების დაცვით.¹⁴ ამგვარად, 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებით დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹³ see Giorgi Nikolaishvili, cited above, §§73, 76 and 79, and Patsuria, cited above, §74.

¹⁴ see Giorgi Nikolaishvili, cited above, §§39, 93-96, and Belevitskiy v. Russia, no.72967/01, §111, 01/03/2007.

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

პირველი განმცხადებელი ითხოვს *restitutio in integrum* – პირველადი მდგომარეობის აღდგენას, რაც გონივრულად მიაჩნია სასამართლოს. მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო გამოსასწორებელი ზომა დარღვევის შედეგებთან მიმართებით, ისე, რომ მაქსიმალური სიზუსტით აღდგეს დარღვევამდელი მდგომარეობა.¹⁵

საქმეში არსებული დასკვნებისა და ფაქტების შესწავლის საფუძველზე და ასევე, კონვენციის მე-8 მუხლითა და პირველი ოქმის I მუხლით პირველი განმცხადებლისათვის მინიჭებული უფლებების დარღვევის გამოსასწორებელი სხვა შესაძლო ზომების პრეიუდიციის გარეშე, სასამართლოს მიაჩნია, რომ კორექტირების ყველაზე შესაბამისი ფორმა იქნება *restitutio in integrum* (პირველადი მდგომარეობის აღდგენა) აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე პირველი განმცხადებლისათვის კოტეჯის დაბრუნება მფლობელობაში, რაც შესაძლებელს გახდის მის უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას მის საკუთარ საცხოვრებელში – აფხაზეთში (საქართველო). თუ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდება მისთვის, როგორც იძულებით გადაადგილებული პირისათვის, შესაფერისი საცხოვრებლის უზრუნველყოფით ან გონივრული კომპენსაციის გადახდით, კოტეჯით სარგებლობის უფლების დაკარგვის სანაცვლოდ. თუმცა, თუ მხარეები ვერ შეძლებენ თანხმობის მიღწევას, სასამართლო იტოვებს შემდგომი პროცედურის განხორციელების უფლებას კომპენსაციის თანხის დადგენის მიზნით, კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო:

- ერთხმად ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი 2006 წლის 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებებთან მიმართებით;
- ერთხმად ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი 2006 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებასთან მიმართებით;
- ერთხმად ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი 2006 წლის 14 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებით;
- ერთხმად ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი 2006 წლის 29 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებით;
- ერთხმად ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებით.

6 ხმით 1-ის წინააღმდეგ ადგენს:

- დაირღვა პირველი ოქმის I მუხლი კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებით;

6 ხმით 1-ის წინააღმდეგ ადგენს:

- a. თუ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, მოპასუხე სახელმწიფომ პირველი განმცხადებელი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, უნდა უზრუნველ-

¹⁵ see, amongst others, *Apostol v. Georgia*, no.40765/02, §71, ECHR 2006 ...; *FC Mretebi v. Georgia*, no.38736/04, §61, 31 July 2007; and *Assanidze*, cited above, §198.

ყოს შესაფერისი საცხოვრებელი ან გონივრული კომპენსაციით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, თანხაზე დარიცხული ნებისმიერი გადასახადის ჩათვლით, განაჩენის საბოლოოდ ცნობის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

ბ. თუ მხარეები ვერ შეძლებენ თანხმობის მიღწევას მოცემულ პერიოდში, სასამართლო თვითონ დაადგენს მთავრობის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას.

ერთხმად ადგენს, რომ:

მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 15.000 (თხუთმეტი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 752 (შვიდას ორმოცდათორმეტი) ევრო – დანახარჯების დასაფარად.

მოსამართლე ჯოშიენეს ნაწილობრივ თანმხვედრი მოსაზრება

მე ვეთანხმები პალატის დასკვნებს, როგორც ეს მოცემულია განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში. მე ასევე უმრავლესობასთან ერთად ხმა მივეცი პირველი ოქმის I მუხლის დარღვევის ცნობას; თუმცა, ამ საქმეში მსურს ხაზი გავუსვა ორ გადამწყვეტ ასპექტს პირველი ოქმის I მუხლთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, ამ სფეროსთან მიმართებით სასამართლოში ჩამოყალიბებული პრეცედენტული კანონის გათვალისწინებით,¹⁶ მიმაჩნია, რომ პირველი ოქმის I მუხლთან დაკავშირებული საკითხი სხვა საკითხებს გადაკვეთს მოცემულ საქმეში. მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ პირველ განმცხადებელს კოტეჯი გადაეცა იმიტომ, რომ იგი იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მალაჩინოსანი. სხვა გარემოებებში ამ ფაქტით ნაგულისხმევი იქნებოდა, რომ განმცხადებელს შეეძლო კოტეჯით სარგებლობა აღნიშნულ სამინისტროში მსახურობის პერიოდში. შინაგან საქმეთა სამინისტროდან განთავისუფლების შემდეგ განმცხადებელს უნდა შეეწყვიტა იმ კოტეჯში ცხოვრება, რომელიც მას ოფიციალური მიზნებისათვის გადაეცა.

თუმცა, ამ საქმეს აქვს ძალზე სპეციფიკური გარემოებები, რომლებიც, ჩემი აზრით, განაპირობებს პირველი ოქმის I მუხლის შემხებლობას. იმ ფაქტის აღიარებით, რომ კოტეჯი მას ოფიციალური მიზნით გადაეცა, აღვნიშნავ, რომ 2000 წლის 20 აპრილს პირველმა განმცხადებელმა მიიღო ოფიციალური წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომელიც ადასტურებდა, რომ ის და მისი ოჯახი კოტეჯში დასახლდნენ 1994 წელს, შს მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა 1996 წლის 28 ივნისის იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ აქტს („იძულებით გადაადგილებულ პირთა აქტი“). მე ვეთანხმები ამ საკითხთან დაკავშირებით პალატის მიერ მოყვანილ არგუმენტებს და დამატებით აღვნიშნავ, რომ 1993-1994 წლებში საქართველოში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეხმებინა და დაეცვა იძულებით გადაადგილებული პირები. 107-ე პუნქტში პალატის მიერ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, რომლის თანხმაც, სახელმწიფომ სხვადასხვა ნორმატიული აქტის შემოღებით დაადასტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და შექმნა მყარი გა-

¹⁶ იხ. განჩინების 106 და 108 პუნქტები და მოსამართლე მულარონის განსხვავებული მოსაზრება საქმეზე *Iġneryaldz v. Turkey* [GC], no. 48939/99, ECHR 2004 XII.

რანტიები მათ დასაცავად, მიმაჩნია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის, მათ შორის – საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხში, სახელმწიფოს მკვეთრად გამოხატული სამართლებრივი ვალდებულება მათთვის ქმნის აშკარა ფულად/მატერი-ალურ განზომილებას, რომელსაც იცავს პირველი ოქმის I მუხლი.

ამას გარდა, პირველი ოქმის I მუხლის მოსაზრებების მხარდასაჭერად მოვიყვან კი-დევე ერთ არგუმენტს ამ საქმეში: საქართველოს სამმა სასამართლო იურისდიქციის სამ დონეზე კონკრეტულად დაადგინა, რომ განმცხადებელი „ფლობდა“ კოტეჯს. პრე-ცედენტულ კანონში სასამართლომ დააფიქსირა მისი მეორადი ხასიათი,¹⁷ რაც გუ-ლისხმობს, რომ ეროვნული უწყებების შესაბამისად, სასამართლოების საქმეა ადგი-ლობრივი კანონის ინტერპრეტაცია და მიმართება.¹⁸ ამ საქმეში საქართველოს სასა-მართლოების მიერ „ფლობის“ დაფიქსირება სადავო კოტეჯთან მიმართებით და მი-სით სარგებლობა საქმეს აქცევს პირველი ოქმის I მუხლის ფარგლებში.

მოსამართლე კაბრალ ბარეტოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

მე შემიძლია დავეთანხმო უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება პირველი ოქმის I მუხლით გათვალისწინებულ დარ-ღვევას. ჩემი აზრით, პირველი განმცხადებელი არ იყო რაიმე საკუთრების მფლობე-ლი, პირველი ოქმის I მუხლში მოცემული მნიშვნელობით.

1. როგორც განჩინების ერთ-ერთ პუნქტშია ნათქვამი, პირველი განმცხადებელი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი, რომელსაც 1994 წლის იანვარში შესთავაზეს საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის პოსტი; მას შემდეგ, რაც მან დაიკავა ეს თანამდებობა, მას და მის ოჯახს გამოუყვეს საცხოვრებელი სამინის-ტროს კუთვნილ კოტეჯში.
2. ჩემი აზრით, კოტეჯი განმცხადებელს შესთავაზეს მისი, როგორც საჯარო მოხე-ლის, სტატუსის გამო. განმცხადებელი ფლობდა აღნიშნულ საკუთრებას არა საკუ-თარი სახელით, არამედ მესაკუთრის – შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით. განმცხადებლის მიერ კოტეჯის ფლობით, თუნდაც ათ წელზე მეტი ხნის განმავ-ლობაში, განმცხადებელსა და საკუთრებას შორის არსებულ სამართლებრივ ურ-თიერთობაში არაფერი შეცვლილა.
3. თუმცა, კონკრეტულ შენობაში დასახლების უფლება, რომლის მესაკუთრეც არ არის პირი, არ უდრის საკუთრებას პირველი ოქმის I მუხლში მოცემული მნიშვნე-ლობით.¹⁹ რომც ყოფილიყო ჩარევა ან რაიმე საკუთრების წართმევა, მხოლოდ მესაკუთრეს ან მფლობელს შეუძლია საკუთარი სახელით გამოთქვას პრეტენზია პირველი ოქმის I მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.
4. აღნიშნულის გათვალისწინებით, უპირატესობას ვანიჭებ იმ მოვლენების განხილ-ვას, რომლებსაც დაექვემდებარა პირველი განმცხადებელი კონვენციის მე-8 მუხ-ლის საფუძველზე და მისი უფლების დარღვევის დადგენას მის საცხოვრებელთან დაკავშირებით.

¹⁷ see *Scordino v. Italy* (no. 1) [GC], no. 36813/97, §140, ECHR 2006-V.

¹⁸ *Kopp v. Switzerland*, 25 March 1998, § 59, Reports of Judgments and Decisions 1998-II.

¹⁹ see, the Court's decision in the case of *JLS v. Spain*, no. 41917/98, Reports 1999-V.

ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ Case of Chichinadze v. Georgia (№18156/05)

2005 წლის 12 აპრილს სულხან ჭიჭინაძემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2010 წლის 27 მაისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№18156/05) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

სულხან ჭიჭინაძემ 1994 წლის 8 აპრილის კონტრაქტის საფუძველზე სახლის ნახევარი („სახლი მაზნიაშვილზე“) დაუთმო ბ-ნ გ-ს (იმჟამად აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს), 150.000.000 კუპონად (დროებითი ქართული ვალუტა, რომელიც მიმოქცევაში იყო 1990-იანი წლების დასაწყისში, ფულადი რეფორმის საჭიროებებიდან გამომდინარე). ნასყიდობის ხელშეკრულება დაამონმა ნოტარიუსმა. კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ბნ-მა გ-მ განმცხადებელს გადასცა 3.000 აშშ დოლარი (2.199 ევრო) ნაღდი ფულის სახით. მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლის გაყიდვიდან მოკლე ხანში განმცხადებელმა დატოვა ბათუმი და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში. სავარაუდოდ, ასეთი ნაჩქარევი გამგზავრების მიზეზი იყო ბნ-ი გ-ს მხრიდან განმცხადებელზე მუდმივი ზეწოლა სახლის მეორე ნაწილის დათმობის მოთხოვნით.

2004 წლის 25 აგვისტოს აჭარის ა/რ-ის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ბ-ნ. გ-ს წინააღმდეგ, მის მიერ თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის გამო. 2004 წლის 10 სექტემბერს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა და ბრძანა ბნ-ი გ-ს ქონების ნაწილის კონფისკაცია, რაც მოიცავდა მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლსაც. პროკურორმა ნაწილობრივი კონფისკაციის ფაქტი გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2004 წლის 18 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბათილად ცნო ნასყიდობის ხელშეკრულება, დაადასტურა განმცხადებლის საკუთრების უფლება მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქონებაზე და ბათუმის მინის რეესტრის სააგენტოს, რომელიც წარმოადგენდა აჭარის იუსტიციის სამინისტროს ერთეულს, უბრძანა, განეხორციელებინა რეგისტრაციისათვის საჭირო ფორმალობები. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და, შესაბამისად, საბოლოო გახდა.

2004 წლის 7 დეკემბერს, 2004 წლის 18 ნოემბრის სავალდებულო და საბოლოო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, განმცხადებელმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სთხოვა კონფისკაციის პროცესის შეწყვეტა მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლთან მიმართებით. 2005 წლის 18 თებერვალს რეესტრმა გასცა კიდევ ერთი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებდა განმცხადებლის საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე.

2005 წლის 17 იანვარს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა 2004 წლის 10 სექტემბრის

გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლის ჩამორთმევას და ძალაში დატოვა გადაწყვეტილების სხვა დებულებები. სასამართლოსათვის ნათელი იყო, რომ 50.000 ლარად (21.275 ევრო) შეფასებული ქონება წარმოადგენდა განმცხადებლის საკუთრებას, 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების თანახმად. უზენაესმა სასამართლომ აჭარის უმაღლეს სასამართლოს მისცა მითითება მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქონების კონფისკაციის პროცესის შეწყვეტის საკითხის განხილვის თაობაზე.

2005 წლის 18 მარტს ბათუმის მიწის რეესტრის სააგენტომ წერილით მიმართა აჭარის პროკურატურას და ითხოვა განმარტება მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქონების გარშემო. რეესტრის წარმომადგენელი დააბნია იმ ფაქტმა, რომ ქონება წარმოადგენდა განმცხადებლის საკუთრებას, 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების შესაბამისად და ამავდროულად იყო მიმდინარე კონფისკაციის ობიექტი. რეესტრის თანამშრომელმა პროკურორს აცნობა, რომ განმცხადებლის საკუთრების უფლება მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე ქონებაზე ჯერ არ იყო ოფიციალურად დარეგისტრირებული. ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გამეორებით 2005 წლის 12 სექტემბერს განმცხადებელმა გენერალურ პროკურატურას მიმართა თხოვნით – სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ აჭარის პროკურორის წინააღმდეგ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით.

2005 წლის 17 ოქტომბერს მოსამართლე ვ-მ განმცხადებელი დეპეშით დაიბარა სასამართლოში „მოპასუხის სტატუსით, ბათუმის ნოტარიუსის მიერ დაწყებულ პროცესზე“, რომელიც უნდა გამართულიყო 2005 წლის 27 ოქტომბერს. დეპეშაში მითითებული იყო, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადაგზავნა ხდებოდა დაზღვეული ფოსტით. 2005 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებელმა მოსამართლე ვ-ს დეპეშით აცნობა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლებდა რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლას და 2005 წლის 27 ოქტომბერს დანიშნულ სხდომაზე დასწრებას. მან მიუთითა, რომ ფოსტით აგზავნიდა აღნიშნულის დამადასტურებელ სამედიცინო დოკუმენტაციას და რომ საჯარო ნოტარიუსის განცხადება ჯერ კიდევ არ მიუღია.

ბათუმის სასამართლოს მოსამართლემ მრავალჯერ მიმართა განმცხადებელს, რომ გამოცხადებულიყო სასამართლო სხდომაზე. სასამართლოს შეტყობინებას სხდომაზე დასწრების შესახებ განმცხადებელი პასუხობდა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ ახერხებდა პროცესზე დასწრებას და საფოსტო ამანათების მეშვეობით წერილობით აგზავნიდა თავის მოსაზრებებს.

2006 წლის 19 აპრილს განმცხადებელმა სააპელაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოსამართლე დაადანაშაულა გადაწყვეტილების გაყალბებასა და მისი წინა თარიღით გაფორმებაში. იმავე დღეს მან ბათუმის საქალაქო სასამართლოს სთხოვა, მისთვის გაეგზავნათ განაჩენის ასლი, რომლის თანახმადაც, აჭარის პროკურორსა და ნოტარიუსს დართეს განახლებულ სამოქალაქო დავაში მონაწილეობის ნება. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, არც ერთი სასამართლოდან პასუხი არ დაბრუნებულა.

2007 წლის 7 თებერვლით დათარიღებული წერილით ბათუმის მიწის რეესტრის თანამშრომელი განმცხადებელს ატყობინებდა, რომ მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი აჭარის უმაღლესი სასამართლოს 2006 წლის 10 მარტის სააღსრულებო ბრძანების საფუძველზე დარეგისტრირდა როგორც სახელმწიფო საკუთრება. 2007 წლის 4 მარტს

განმცხადებელმა ითხოვა აღნიშნული ბრძანების დამატებითი განმარტება, რაც უპასუხოდ დარჩა.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ საქმეში მთავარი საკითხი არის არა განმცხადებლის საჩივრის დადგენა განახლებულ სამოქალაქო საქმეში, არამედ 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით სასამართლო იმეორებს, რომ თავად ბათილად ცნობის, როგორც ქმედების ბუნების გათვალისწინებით განახლებული პროცესი, გადაწყვეტილების ხელახლა დადგენითაც რომ დამთავრდეს, იგი მაინც ვერ უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის სათანადო საშუალებას, რაც დააკმაყოფილებს კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტითა და პირველი ოქმის I მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.¹

მთავრობამ სასამართლოს სთხოვა, გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ მოცემულ საქმეზე ბათილად ცნობა არ დამდგარა სახელმწიფო მოხელის თხოვნით,² ან ახლად გამოვლენილი გარემოებების შედეგად. პირიქით, 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა თავიდანვე მიზნად ისახავდა სამართლებრივი შეცდომის გამოსწორებას და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მე-6 მუხლის I პუნქტისა და პირველი ოქმის I მუხლის დარღვევად.

განმცხადებელმა პასუხად განაცხადა, რომ 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის I (ბ) პუნქტის საფუძველზე უდავოდ უკანონო და თვითნებური ქმედებაა, ვინაიდან ნოტარიუსი არ ყოფილა მოცემული სამოქალაქო საქმის მხარე. კონტრაქტის გარშემო მიმდინარე დავის მხარეები იყვნენ თავად განმცხადებელი – მომჩივნის სტატუსით და ბ-ნი გ. – მოპასუხის სტატუსით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ **პირველი** შეცდომა, რომელიც, სასამართლოს აზრით, ზეგავლენას ახდენს „კანონით დადგენილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ ჩატარებული“ პროცესის პრინციპზე, არის მოსამართლის უკანონო და შეუფერებელი მონაწილეობა საქმეში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის I (ა) პუნქტი). **მეორე** სამართლებრივი შეცდომა უარყოფს, როგორც ეს მთავრობამ აღნიშნა, მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგან იგი შეეხება იმ ვითარებას, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა მოხდა პროცესის ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის I (ბ) პუნქტით დაუშვებელია. სასამართლოს ამოცანაა, დაადგინოს, სწორად განხორციელდა თუ არა პროცედურა მითითებული საქმის ფაქტებზე და რომ ბათილად ცნობა არ ემსახურებოდა სხვა მიზნებს, გარდა იმისა, რის გამოც იგი გადაწყდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებებზე დაყრდნობით.

სასამართლო ასევე ადგენს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლო არ გაუკრიტიკებია ნოტარიუსის განცხადება, რომლის თანახმადაც, მან 2004 წლის 18 ნოემბრის სა-

¹ The Mrevli Foundation v. Georgia (dec.), no. 25491/04, 5 May 2009, and Popov v. Moldova (no. 2), no. 19960/04, § 35, 6 December 2005.

² *a contrario*, Ryabykh v. Russia, no. 52854/99, §52, ECHR 2003 IX

ბოლოო გადაწყვეტილების შესახებ შეიქცო 2005 წლის 28 სექტემბერს ადგილობრივი გაზეთის მეშვეობით. მსგავსი პრეცედენტის ანალოგიურად, რომელიც შეეხება საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და პროცესის ხელახლა დაწყებას და იმის მხედველობაში მიღებით, რომ ასეთი წესი გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ნოტარიუსის განცხადებები უნდა შემოწმებულიყო სათანადო გულმოდგინებითა და ზედმინევნით. ნათელია, რომ ნოტარიუსს უნდა ეჩვენებინა, რომ გულმოდგინე ძალისხმევის მიუხედავად, მას არ შეეძლო მოეპოვებინა ინფორმაცია ან მიეთითებინა ფაქტებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ზღუდავდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის I (ბ) პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებას.³ ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ 1996 წლის 3 მაისის ნოტარიატის შესახებ აქტის თანახმად, ინდივიდუალური ნოტარიუსები, რომლებიც გაერთიანებული არიან ნოტარიუსთა პალატაში, იმყოფებიან იუსტიციის სამინისტროს უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. ასეთ პირობებში სასამართლოს მიუღებლად მიაჩნია, რომ ნოტარიუსმა 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებით მოიხსნა 422-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, თანმდევი მტკიცების ტვირთი და დააფიქსირა, რომ მისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო, უფრო ადრე სცოდნოდა სამოქალაქო საქმის შესახებ. განსაკუთრებით დასანანი ის, რომ 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადასინჯვა, სანამ გამოიტანდა იმ დასკვნას, რომ ბათილად ცნობის მოთხოვნა დროული და საფუძვლიანი იყო.⁴

სასამართლოსათვის ყველაზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ნოტარიუსმა, რომელიც პირველი სამოქალაქო საქმის მხარე არც ყოფილა, მიაღწია 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის I (ბ) პუნქტის საფუძველზე. სინამდვილეში აღნიშნული დებულება შეეხება პროცესის რეალურ მხარეებს, იმის უზრუნველსაყოფად, რასაც მთავრობაც მიუთითებს, რომ დაცულ იქნეს მათი პროცესუალური უფლება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კუთხით. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პირი, რომელიც პროცესის მხარე არ ყოფილა, ვერ გაასაჩივრებს თავისი პროცესუალური უფლებების შელახვას ასეთი პროცესის მიმდინარეობისას. სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების გაბათილების უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნეს დაცული სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა ინტერესს შორის.⁵

ზემოთ აღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რაც არღვევს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს და არის ჩარევა განმცხადებლის მიერ მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლით სარგებლობის უფლებაში, წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე პროცესის განახლების არასწორ გამოყენებას, რაც არ არის გამართლებული არსებითი ან გარდაუვალი ხასიათის გარემოებებით და ამით განმცხადებელს დაანვა ზედმეტი და არაპროპორციული ტვირთი.⁶

³ Pravednaya v. Russia, 69529/01, §§17 and 27, 18 November 2004, and Popov (no.2), §§26-28 and 49-51

⁴ Eugenia and Doina Duca v. Moldova, no. 75/07, § 35-37, 3 March 2009; Popov (no. 2), § 50; Kumkin and Others v. Russia, no. 73294/01, § 33, 5 July 2007.

⁵ Mitrea v. Romania, no.26105/03, §25, 29/07/2008, and, Nikitin v. Russia, no.50178/99, §57, ECHR 2004 VIII.

⁶ Smirnitckaya and Others v. Russia, no. 852/02, §§45 and 53, 5 July 2007; Gavrilenko v. Russia, no.30674/03, §§37 and 41, 15 February 2007; Rahmanova v. Azerbaijan, no. 34640/02, §§ 65 and 73, 10 July 2008.

კონვენციის სხვა დარღვევები

კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელმა გაასაჩივრა განახლებული პროცესის ხანგრძლივობა და განაცხადა, რომ მას არ მიეცა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებით სარგებლობის უფლება ბათილად ცნობის შესახებ 2005 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ოქმის I მუხლის დარღვევის ფონზე, რაც შეეხება 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, განახლებული პროცესის ხანგრძლივობა არის კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც ხელს უშლის განმცხადებელს, ისარგებლოს გაბათილებული გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული საკუთრებით. შესაბამისად, არ დგას აღნიშნული საკითხის დამოუკიდებლად განხილვის საჭიროება, კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტის მიხედვით.⁷

ასევე არ არსებობს განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-13 მუხლზე დაყრდნობით წამოყენებული პრეტენზიების განცალკევებულად განხილვის საჭიროება, ვინაიდან ეს საკითხი გაერთიანდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპთან დაკავშირებულ საჩივარში.⁸

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

განმცხადებელმა მოითხოვა კომპენსაცია ბათუმში, მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე საკუთრებასთან დაკავშირებით. იგი ეყრდნობა ექსპერტთა დასკვნას, რომელიც შეადგინა შპს „ეკონომიკს აუდიტმა“ – კერძო აუდიტორულმა კომპანიამ საქართველოში. პირველად განმცხადებლის ქონება შეფასდა 180.000 აშშ დოლარად (132.752 ევრო). მეორე დასკვნის თანახმად, მთლიანი სახლის ღირებულება შეადგენს 320.000 ევროს. განმცხადებელმა განმარტა, რომ ფასებს შორის სხვაობა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: პირველ დასკვნაში არ არის შესული იმ მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომელზეც სახლი მდებარეობს. გარდა ამისა, განმცხადებელი აცხადებს, რომ პირველ და მეორე დასკვნებს შორის პერიოდში ბათუმში უძრავი ქონების ფასი ძალიან გაიზარდა. გარდა ამისა, განმცხადებელი ითხოვს 50.000 ევროს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

მთავრობა აცხადებს, რომ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნები არ არის სარწმუნო და განმცხადებლის მოთხოვნები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დაუსაბუთებელი და ძალზე გადაჭარბებულია. მთავრობამ განმარტა, რომ განმცხადებელს ყოველთვის შეეძლო შეეტანა სარჩელი და მოეთხოვა მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლზე საკუთრების უფლების აღდგენა, რა შემთხვევაშიც მოპასუხე სახელმწიფო შესაძლოა, დათანხმებოდა დავის მოლაპარაკების გზით მოგვარებას.

ორივე დასკვნის სათანადოდ განხილვის შემდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ მათში მკაფიოდ არ არის მითითებული უძრავი ქონების ღირებულების დადგენის წესები. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაითვალისწინებს აღნიშნულ დასკვნებს და ვერ მი-

⁷ Vriani and Others v. Albania, no. 2141/03, § 64, 24 March 2009.

⁸ Popov (no. 2), cited above, § 55, and Nikolay Zaytsev v. Russia, no. 3447/06, § 24, 18 February 2010.

იჩნევს მათ სარწმუნო მტკიცებულებებად. არც განმცხადებლის მითითება უძრავი ქონების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ფასებზე არ დასტურდება, როგორც ბათუმში უძრავი ქონების ფასების შესახებ ინფორმაციის კანონიერი წყარო.

ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო მიუთითებს, რომ, ზოგადად, კონვენციის 41-ე მუხლით პრიორიტეტულად ითვლება *restitutio in integrum* (პირველადი მდგომარეობის აღდგენა), რადგანაც მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გაატაროს ყველა შესაძლო ზომა დარღვევის გამოსასწორებლად, ისე, რომ შეძლებისდაგვარად აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა.⁹ შესაბამისად, საქმის გულდასმით შესწავლის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების ყველაზე მისაღები ფორმაა განმცხადებლისათვის საკუთრების უფლების აღდგენა მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებაზე, როგორც ეს დაადგინა ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით. თუ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი იქნება, სასამართლოს მიაჩნია, რომ ალტერნატივის სახით განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მისთვის მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვით მიყენებული ზარალის სანაცვლოდ გონივრული კომპენსაციის გადახდის გზით. თუ მხარეები ვერ შეძლებენ თანხმობის მიღწევას მოცემულ პერიოდში, სასამართლო იტოვებს შემდგომი პროცედურის განხორციელების უფლებას კომპენსაციის თანხის დადგენის მიზნით, კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად (რეგლამენტის 75-ე მუხლის I და IV პუნქტები).

გარდა ამისა, სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებით განმცხადებელს შეექმნა გარკვეული შეფერხება და მიაღწა უსიამოვნება. შედეგად მიყენებული მორალური ზიანი სათანადოდ ვერ ანაზღაურდება მხოლოდ დარღვევის აღიარებითა და დადგენით. ობიექტური შეფასების შედეგად სასამართლო განმცხადებელს აღნიშნულ პუნქტში მიაკუთვნებს 5.000 ევროს. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ხარჯებსა და დანახარჯებს ადგილობრივ სასამართლოებსა და ევროსასამართლოში განეული ხარჯების ასანაზღაურებლად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობს განმცხადებლისათვის ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

- დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I პუნქტი და პირველი ოქმის I მუხლი;
- თუ შეუძლებელი იქნება ბათუმში, მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების დაბრუნება, მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უნდა გადაუხადოს გონივრული კომპენსაცია მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, ასევე – გადასახადები, რომლებიც შესაძლოა, გადასახდელი გახდეს განჩინების საბოლოო ძალაში შესვლის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფულადი კომპენსაციის თანხაზე, სასამართლო თვითონ დაადგენს მთავრობის მიერ გადასახდელ თანხას;

- იტოვებს კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების უფლებას;

⁹ იხ. *Apostol v. Georgia*, no.40765/02, §71, ECHR 2006 XIV; *FC Mretebi v. Georgia*, no.38736/04, §61, 31 July 2007; *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, §198).

- განჩინების საბოლოო ძალაში შესვლის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს წერილობითი არგუმენტები საკითხზე, კერძოდ, აცნობონ სასამართლოს მათ მიერ მიღწეული რაიმე შეთანხმების შესახებ.

სასამართლო ასევე ერთხმად ადგენს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 5.000 (ხუთი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარი, გადახდის დღისათვის არსებული კურსით, ასევე – გადასახადები, რომლებიც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

სასამართლო არ აკმაყოფილებს განმცხადებლის მიერ სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნას დარჩენილ ნაწილში.

ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Case of Khaindrava and Dzamashvili v. Georgia (№18183/05)

2005 წლის 7 აპრილს გივი ხაინდრავამ და მარი ძამაშვილმა განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2010 წლის 8 ივნისს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№18183/05) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-2 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1997 წელს, დილის 4 საათზე, გივი ხაინდრავას თავს დაესხნენ საკუთარ სახლში. ის თავის არეში ავტომატის კონდახითა და წიხლებით ძლიერ სცემა სამმა (ან ორმა) პირმა. მეორე დღეს მისი ოჯახის წევრებმა პოლიციაში შეიტანეს საჩივარი, რომელიც უპასუხოდ დარჩა. ამის შემდეგ განმცხადებელმა თვითონ მიაგნო თავდამსხმელთაგან ორს – დ.პ.-სა და გ.ტ.-ს, განაიარაღა ისინი და თავისთან, სახლში მიიყვანა. შემდეგ დაუკავშირდა გ.მ.-ს, მარტვილის რაიონის პროკურორსა და ვ.ბ.-ს – მის თანაშემწეს, რათა მათ დაეკითხათ დაკავებული პირები და რეაგირება მოეხდინათ საჩივარზე. განმცხადებელმა ვიდეოფირზე ჩაიწერა ეს შეხვედრა, რომელიც მის სახლში 1998 წლის 24 სექტემბერს შედგა. პროკურორისა და მისი თანაშემწის წინაშე ორივე აღნიშნულმა პირმა დაადასტურა, რომ განმცხადებელზე სადავო თავდასხმა მათ ა.გ.-ს – ადგილობრივი პოლიციის ორი მაღალჩინოსნის მამის – ბრძანებით განახორციელეს. მათ განმარტეს, რომ ა.გ.-ს დავალებით, განმცხადებელზე თავდასხმა ისეთი სიმძიმის უნდა ყოფილიყო, რომ იგი მომკვდარიყო. თუ მიზანი მიღწეული იქნებოდა, თავდამსხმელები 50.000 აშშ დოლარს მიიღებდნენ, ხოლო არასასიკვდილო დარტყმების მიყენების შემთხვევაში – მხოლოდ 1500 აშშ დოლარს. მესამე თავდამსხმელი, ვინმე გ.ჩ-უა, მეტსახელად კო-ია (შემდგომში „კო-ია“), სავარაუდოდ, შუამავლის როლს ასრულებდა. ამის შემდეგ დ.პ. და გ.ტ. ყვებიან კო-იასთან თავიანთი პირველი შეხვედრის შესახებ, რომელიც მიტოვებულ სახლში შედგა და რომლის ადგილმდებარეობაც მათ მიუთითეს. გ.ტ.-ს ჩვენების თანახმად, კო-იას სურდა, რომ განმცხადებელი „სასტიკად ყოფილიყო ნაცემი“, რათა „მისი ასაკიდან გამომდინარე, ის მიყენებული დარტყმებისაგან მომკვდარიყო“.

განმცხადებელმა პროკურორები გააფრთხილა, რომ პროკურატურის მხრიდან რეაგირებას კიდევ ერთი კვირის განმავლობაში დაელოდებოდა. კერძოდ, განმცხადებელმა მოითხოვა, რომ ა.გ. მასთან მისულიყო და უარეყო ის სიცრუე, რაც მის პატიოსნებას ჩრდილს აყენებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იძულებული გახდებოდა, თავად გაესწორებინა ანგარიში. განმცხადებელმა პროკურორები გააფრთხილა, რომ თუკი ის იძულებული გახდებოდა, პირადად ეძია შური და შემდეგ ტყეში გახიზნულიყო, ამაზე პროკურორები იქნებოდნენ პასუხისმგებელნი და მათ სთხოვა, „ეს არ დაეშვათ“.

ვინაიდან, აღნიშნული შეხვედრის მიუხედავად, პროკურატურას რეაგირება არ მოუხდენია, განმცხადებელი პირდაპირ ა.გ.-სთან მივიდა, რათა გაერკვია მიზეზი, რამაც ის აიძულა, მისი მკვლელობა შეეკვეთა. აღნიშნული საუბრის შინაარსი უცნობია.

თუმცა, საქმიდან ირკვევა, რომ ამ ორ პიროვნებას დიდი ხნის მტრობა ჰქონდა. განმცხადებლის ჩვენების თანახმად, სწორედ აღნიშნული რევანშის მცდელობებისთვის ბოლოს მოსაღებად და მათი მამის დასაცავად დააკავეს ის ა.გ.-ს ვაჟებმა, პოლიციელებმა, 2000 წელს. 2000 წლის 12 იანვარს განმცხადებელი დააკავეს და ეჭვმიტანილად ცნეს ფულის გამოძალვაში, იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვასა და გადატანაში, აგრეთვე – სხვისი თავისუფლების ხელყოფაში.

2001 წლის 17 მაისის საჩივრით, რომელიც 2001 წლის 22 მაისს იქნა შეტანილი, განმცხადებელმა ქალბატონმა გენერალურ პროკურორს წარუდგინა საქმეში არსებული ფაქტები და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. განმცხადებელმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ 1998 წლის 24 სექტემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი რაიონის პროკურატურაში ინახებოდა. მან მოითხოვა მის მეუღლეზე 1997 წელს განხორციელებული თადასხმის ფაქტზე გამოძიების ჩატარება და ა.გ.-ს, როგორც დანაშაულის შემკვეთის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2001 წლის 30 ივლისს მარტვილის პროკურატურამ განიხილა მითითებული საქმის მასალები და განმცხადებელი ქალბატონის საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული დადგენილება გაუქმდა ზემდგომი თანამდებობის პირის სახელზე საჩივრის შეტანის შემდეგ. გამოძიება განახლდა 2002 წლის 5 მარტს. 2002 წლის 7 მარტს მარტვილის პროკურორის თანამშემწემ განმცხადებელი ციხეში მოინახულა, რათა იგი დაეკითხა მის წინააღმდეგ ორგანიზებული თავდასხმის თაობაზე. განმცხადებელმა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ის მარტვილის პროკურატურის ორგანოებს საერთოდ არ ენდობოდა და საქმეში ამ პროკურატურის აცილების შესახებ განაცხადა. განმცხადებლის მტკიცებით, ის მზადყოფნას აცხადებდა, ჩვენება სხვა რაიონის პროკურატურისთვის მიეცა.

2002 წლის 7 მარტს იმავე პროკურორმა კო-ია მოინახულა ციხეში, რათა იგი განმცხადებლის წინააღმდეგ ორგანიზებული თავდასხმის თაობაზე დაეკითხა, მაგრამ კო-იამ ასევე უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე იმ მოტივით, რომ ის მარტვილის პროკურატურის ორგანოებს საერთოდ არ ენდობოდა და თუ საქმე გადაეცემოდა სხვა რაიონის ან გენერალურ პროკურატურას, ის მზად იქნებოდა თანამშრომლობისთვის. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, 2002 წლის 25 მარტს მარტვილის პროკურატურამ განმცხადებელს უარი უთხრა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე სსსკ-ის 28-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველით. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ აღნიშნული დადგენილება გენერალურმა პროკურატურამ 2002 წლის 3 აპრილს გააუქმა და საქმე მარტვილის პროკურატურას ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა.

2002 წლის 7 მაისს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელ ქალბატონს აცნობა. გენერალური პროკურატურის წერილიდან ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2002 წლის 25 მარტის დადგენილების გადასინჯვა და გაუქმება გამოიწვია განმცხადებელი ქალბატონის წერილის 2002 წლის 1 აპრილს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებამ.

2002 წლის 27 მაისს განმცხადებელმა ქალბატონმა მარტვილის პროკურორს კვლავ მოსთხოვა მისი მეუღლის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით ზომების მიღება. მან კმაყოფილება გამოხატა გენერალური პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ 2002 წლის 25 მარტის დადგენილების გაუქმებასთან დაკავშირებით. 2002 წლის 27 მაისს განმცხადებლის ადვოკატმა, წარ-

მოადგინა რა იგივე ფაქტები, რაც განმცხადებელმა ქალბატონმა, მარტვილის პროკურატურას მიმართა. მან ასევე მოითხოვა ა.გ.-ს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და მისი კო-იასთან დაპირისპირება. 2002 წლის 10 ივნისს მარტვილის პროკურატურამ ადვოკატს ხელახლა უთხრა უარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე და ახალ დადგენილებაში 2002 წლის 15 მარტის დადგენილებაში მოყვანილი ფაქტები და მოტივები გაიმეორა.

2004 წლის 10 მარტს განმცხადებელმა მიმართა გენერალურ პროკურორს და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მისი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტისთვის ნათელის მოფენის მიზნით. მან ასევე მოითხოვა პროკურატურის იმ თანამშრომელთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რომლებსაც, 1997 წლიდან მოყოლებული, არავითარი შემდგომი მსვლელობა არ მიუციათ მისი სხვადასხვა საჩივრისათვის.

2004 წლის 25 მარტს გენერალურმა პროკურატურამ აღნიშნული განცხადება გადაუგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას და მოსთხოვა, გადამოწმებულიყო, აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმე განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე; მიღებულ იქნა თუ არა რაიმე გადანყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით და შეესაბამებოდა თუ არა ის კანონს. გატარებული ღონისძიებების შედეგები უნდა გადაგზავნილიყო გენერალურ პროკურატურაში. საოლქო პროკურატურას ამ მოთხოვნაზე რეაგირება არ მოუხდენია.

2004 წლის 30 სექტემბერს განმცხადებელმა ახლად დანიშნულ გენერალურ პროკურორთან გაასაჩივრა თავის საქმესთან დაკავშირებით ზემდგომი ორგანოების მიერ გამოჩენილი უმოქმედობა და გააპროტესტა მისი 2004 წლის 10 მარტის საჩივრის გადაგზავნა საოლქო პროკურატურაში. მან ხელახლა წამოაყენა გამოძიების ჩატარების მოთხოვნა, ამყარებდა რა იმედს ახალი გენერალური პროკურორის დანიშვნაზე. განმცხადებლის თქმით, ეს იყო მისი უკანასკნელი მცდელობა სტრასბურგის სასამართლოსთვის მიმართვამდე.

სასამართლოს შეფასება

თავის 2005 წლის 7 აპრილის განაცხადში განმცხადებელი ჩივის, რომ მას მრავალრიცხოვან საჩივრებზე არავითარი პასუხი არ მიუღია და ამტკიცებს, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე ეფექტური გამოძიების არარსებობა წარმოადგენდა კონვენციის მე-2 მუხლის I პარაგრაფის დარღვევას.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენება მხარეთა შორის დისკუსიის საგანი არ გამხდარა. თავის მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი გადაურჩა დ.პ.-სა და გ.ტ.-ს – ორი კერძო პირის მიერ, რომლებიც სავარაუდოდ ა.გ.-ს – პოლიციის ორი მაღალჩინოსნის მამის ინსტრუქციებით მოქმედებდნენ - მის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმას. წინამდებარე საქმის გარემოებებისა და მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენების საფუძველი.¹

¹ ob. akaratzis c. Grice [GC], no 50385/99, §§49-55, 20 dicembre 2004.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებას, კონვენციის უმნიშვნელოვანეს მუხლებს შორის ფიგურირებს და დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, სწორედ ამაზეა დაფუძნებული ევროპის საბჭო. სასამართლომ მაქსიმალური ყურადღებით უნდა განიხილოს პრეტენზიები აღნიშნული დებულების დარღვევის შესახებ.²

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის I პარაგრაფის პირველი წინადადება სახელმწიფოს ავალდებულებს, არამხოლოდ თავი შეიკავოს სიკვდილის განზრახ და უკანონოდ გამოწვევისგან, არამედ მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მის იურისდიქციას დაქვემდებარებულ პირთა სიცოცხლის დასაცავად. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს უმთავრეს ვალდებულებას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება კონკრეტული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შექმნით, რომელსაც ექნება პირის წინააღმდეგ მიმართული ხელყოფის შემაკავებელი ძალა და დაეყრდნობა დარღვევათა პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის მექანიზმს.³ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული დებულება ასევე მოიცავს სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებას, პრევენციულად მიიღონ პრაქტიკული ხასიათის ზომები იმ პირთა დასაცავად, რომელთა სიცოცხლეც საფრთხეშია.⁴

ამას გარდა, სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, კონვენციის I მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოთა ზოგად ვალდებულებასთან კომბინაციაში, რომ „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, გულისხმობს და მოითხოვს ოფიციალური ეფექტური გამოძიების რომელიმე ფორმით ჩატარებას, როდესაც ძალის გამოყენებამ გამოიწვია ადამიანის სიკვდილი, მიუხედავად იმისა, აღნიშნულის ჩამდენი სახელმწიფოს წარმომადგენელია თუ მესამე პირი.⁵ ეს მოსაზრება ეხება წინამდებარე საქმესაც, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ განხორციელებულმა მოპყრობამ ამ უკანასკნელის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. კერძოდ, საგამოძიებო მოქმედებები უნდა იყოს საფუძვლიანი, მიუკერძოებელი და წარიმართოს მაქსიმალური ყურადღებით.⁶

გამოძიების ფორმა, რომელიც აღნიშნული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, შესაძლოა, გარემოებების შესაბამისად, სხვადასხვაგვარი იყოს. მიუხედავად ამისა, როგორც არ უნდა იყოს გამოყენებული ფორმა, შესაბამისმა ორგანოებმა ინფორმაციის მიღებისთანავე დანიშნულებებისამებრ უნდა იმოქმედონ და მათ პირის ოჯახის წევრს არ უნდა გადააბარონ საჩივრის ფორმალურად შეტანის ინიციატივა ან აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობა.⁷

გარდა იმისა, რომ ჩატარებული გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და მსხვერპლის ოჯახისთვის ხელმისაწვდომი, ის ასევე უნდა იყოს ეფექტური იმ თვალსაზრისით, რომ უნდა ჩატარდეს გონივრული ტემპითა და გულმოდგინებით, რათა საზოგა-

² Natchova et autres c. Bulgarie [GC], nos 43577/98 et 43579/98, § 93, CEDH 2005-VII.

³ Karagiannopoulos c. Grèce, no 27850/03, §53, 21 juin 2007.

⁴ Scavuzzo-Hager et autres c. Suisse, no 41773/98, §51, 7 février 2006.

⁵ Tahsin Acar c. Turquie [GC], no.26307/95, §220, CEDH 2004-III.

⁶ McCann et autres c. Royaume-Uni, 27 septembre 1995, §§ 161-163, série A no 324.

⁷ Tahsin Acar, arrêt précité, §221; Finucane c. Royaume-Uni, no 29178/95, §67, CEDH 2003-VIII.

დოებას მიეცეს მასზე თვალყურის დევნების საკმარისი უფლება და შესაბამის შემთხვევაში დასრულდეს პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიკაციითა და დასჯით.⁸ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა შედეგთან, არამედ საშუალებებთან დაკავშირებულ ვალდებულებას. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომლებიც მათთვის გონივრულობის ფარგლებში იყო ხელმისაწვდომი ინციდენტთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვების მიზნით.⁹ ნებისმიერი ხარვეზი, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს გამოძიებას პასუხისმგებელი პირის ან პირების გამოვლენაში, მთლიანობაში მოსალოდნელია იქცეს გამოძიების არაეფექტურობის გამომწვევ მიზეზად.¹⁰

სასამართლო იძულებულია, აღიაროს, რომ შესაძლოა, არსებობდეს სირთულეები ან დაბრკოლებები, რომლებიც განსაკუთრებულ სიტუაციაში ხელს უშლის გამოძიების წინსვლას. თუმცა, ხელისუფლების ორგანოების სწრაფი რეაგირება, როდესაც საქმე ეხება გამოძიების ჩატარებას სასიკვდილო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაძლოა იყოს საზოგადოების ნდობის შენარჩუნების უმთავრესი ფაქტორი, რაც ემსახურება საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპის პატივისცემის დაცვას, უკანონო აქტებში მონაწილეობის გამორიცხვას, დამნაშავეთა შეწყნარების ან დანაშაულის ჩადენაში შეთანხმების შთაბეჭდილების თავიდან აცილებას.¹¹

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო იძულებულია, დაასკვნას, რომ სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი, რომლის ობიექტიც განმცხადებელი გახდა, საკმარისად იქნა მიტანილი პროკურატურამდე, კომპეტენტურ უწყებამდე, რომელიც სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, 261-ე მუხლის პირველი და 265-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების საფუძველზე, ვალდებული იყო, ყოველ შემთხვევაში, 2005 წლის 25 მარტამდე, დაუყოვნებლივ გადაემოწმებინა ინფორმაცია და შესაბამის შემთხვევაში აღედრა სისხლის სამართლის საქმე ქვეყნარტების დადგენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულება გარკვეულწილად შეიცვალა 2005 წლის 25 მარტის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონით, პროკურატურას მაინც ეკისრება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ვალდებულება, როდესაც მას ეცნობება დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, ისევე როგორც – გამოძიების ჩატარების ვალდებულება პასუხისმგებელ პირთა გამოვლენის მიზნით.

რაც შეეხება განმცხადებელი ქალბატონის მიერ, დაკავებული მეუღლის სახელით, 2001 წლის 22 მაისს შეტანილ ოფიციალურ საჩივარსა და შემდგომ საჩივრებს, რომლებიც განმცხადებელმა კომპეტენტურ ადგილობრივ და ეროვნულ ორგანოებში შეიტანა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის არგუმენტის საპირისპიროდ, ა.გ.-ს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის გარდა, განმცხადებელი გარკვევით ითხოვდა მისი სიცოცხლის ხელყოფისა და პროკურატურის ორგანოს დანაშაულებრივი უმოქმედობის ფაქტებზე გამოძიების ჩატარებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ოფიციალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც კი, კომპეტენტური ორგანოები ვალდებული იყვნენ, გამოძიება განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე ინფორმაციის მიღებისთანავე ჩაეტარებინათ.¹²

⁸ Varnava et autres c. Turquie [GC], 16064/90, 16065/90, 16066/90, 16068/90, 16069/90, 16070/90, 16071/90, 16072/90 et 16073/90, §191, CEDH 2009-...; Our c. Turquie [GC], no 21594/93, §88, CEDH 1999-III.

⁹ Tanrikulu c. Turquie [GC], no 23763/94, §§109, CEDH 1999-IV.

¹⁰ Akta_ c. Turquie, no 24351/94, §300, CEDH 2003-V.

¹¹ McKerr c. Royaume-Uni, no 28883/95, §§111 et 114, CEDH 2001-III ; Brecknell c. Royaume-Uni, no 32457/04, §65, 27 novembre 2007.

¹² იხ. ზემოხსენებული საქმეების გარდა, Kelly et autres c. Royaume-Uni, no30054/96, §94, 4 mai 2001.

რაც შეეხება მარტვილის პროკურატურის მიერ 2001-2002 წლებში ჩატარებული გამოძიების ეფექტურობას, საქმის მასალებიდან არ ირკვევა, ჩატარდა თუ არა საგამოძიებო მოქმედებები 2001 წლის 22 მაისიდან – საჩივრის შეტანიდან 2001 წლის 30 ივლისამდე – სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე პირველად უარის თქმამდე პერიოდში. განმცხადებლის მტკიცების გარდა, რომლის თანახმად, მარტვილის პროკურატურამ სრული უმოქმედობა გამოიჩინა, აღნიშნულ საკითხზე საქმეში სხვა ინფორმაცია არ არსებობს. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ აღნიშნული დადგენილების გაუქმების შემდეგ იყო კო-იასა და განმცხადებლის დაკითხვის მცდელობა, მაგრამ აღნიშნული პირების მოთხოვნაზე, ენახათ პროკურატურის სხვა სამსახურების მიერ გამოკვლეული საქმე, ვინაიდან მათ მარტვილის პროკურატურის მიმართ ნდობა არ გააჩნდათ, არავითარი რეაგირება არ მომხდარა. მთავრობის მტკიცების საპირისპიროდ, აცილების მოთხოვნები განმცხადებლისა და კო-იას მიერ მკაფიოდ იყო ფორმულირებული 2002 წლის 7 მარტის დაკითხვების დროს და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ისინი არ შეიძლებოდა ამკარად დაუსაბუთებლად ყოფილიყო მიჩნეული. აღნიშნული მოთხოვნების განხილვის გარეშე, მარტვილის პროკურატურამ ორივე პირს სიმართლის დადგენის მიზნით არასაკმარისი თანამშრომლობა უსაყვედურა, რითაც დაასაბუთა 2002 წლის 25 მარტის დადგენილება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დადგენილება შემდგომში გაუქმდა, არაფერი არ იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უკანასკნელად უარის თქმის შესახებ დადგენილების მიღებამდე დამატებითი გამოძიება ჩატარდა. მაგალითად, საქმიდან არ ირკვევა, რომ კო-იას აღიარება, რომელიც ეხება განმცხადებლის მკვლელობის ორგანიზებას ა.გ.-ს ნაქვებით და რომლის შესახებაც საგამოძიებო ორგანოებს 2001 წლის აპრილიდან ეცნობა, რაიმე სახის გადამონმებას დაექვემდებარა; რომ რაიონის პროკურორისა და მისი თანაშემწის ჩვენებები, რომლებიც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს ადასტურებს, სისხლის სამართლებრივი გამოძიების სხვა აქტების ჩატარების ობიექტი გახდა; რომ მოხდა განმცხადებლის დაპირისპირება კო-იასთან ან კიდევ – ა.გ.-სთან და რომ დ.პ.-ზე ძებნა გამოცხადდა. რაც შეეხება პროკურატურის შიდა გამოძიების დასკვნებს, რომლებიც შემდგომში სისხლის სამართლის გამოძიების დროს იქნა გამოყენებული, მთავრობას სასამართლოს წინაშე არც აღნიშნული დასკვნები და არც სადავო ადმინისტრაციული გამოძიების სხვა მასალები არ წარმოუდგენია.

და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ რაიონის პროკურატურის ორგანოების დუმილის მიუხედავად, რომლებსაც გენერალურმა პროკურატურამ რამდენჯერმე მოსთხოვა ანგარიშის ჩაბარება, ამ უკანასკნელმა არ მოახდინა ეფექტური რეაგირება. ამასთანავე, განმცხადებლის მოთხოვნა, საქმე ჩამორთმეოდა მარტვილის პროკურატურას, რათა გამოძიება რეალურად დამოუკიდებელ უწყებას ჩაეტარებინა, უპასუხოდ დარჩა. მაშასადამე, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულმა პროკურატურამ მანამდე უკვე გამოავლინა უუნარობა, ემოქმედა ადგილობრივი პასუხისმგებელი პირებისგან სრულიად დამოუკიდებლად, რომ ა.გ. იყო ადგილობრივი პოლიციის ორი მაღალჩინოსნის მამა და რომ განმცხადებელი, სხვათა შორის, მოითხოვდა იმავე რაიონის პროკურორების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემას, ის ვითარება, რომ გენერალურმა პროკურატურამ საქმის გამოძიება მარტვილის პროკურატურას მიანდო, „ცუდად ეთავსება“ იმ სახელმწიფო მოხელეების იერარქიული, ინსტიტუციური და პრაქტიკული დამოუკიდებლობის მოთხოვნებს, რომლებსაც ევალებათ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე გამოძიების ჩატარება.¹³

¹³ იხ. *Ergi c. Turquie*, 28 juillet 1998, §§83-84, *Recueil des arrêts et décisions* 1998-IV; *Scavuzzo-Hager et autres*, *précité*, §§ 78, 81 et 82.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების ერთობლივად განხილვის შემდეგ სასამართლო ასკვნის, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფის საქმეში ეფექტური გამოძიების ჩატარების პოზიტიური ვალდებულება. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ:

- 1) დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი;
- 2) მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 12.000 (თორმეტი ათასი) ევრო – მორალური ზიანისათვის.

გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Case of Goginashvili v. Georgia (№47729/08)

2008 წლის 9 აგვისტოს ვასილ გოგინაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2011 წლის 4 ოქტომბერს სასამართლომ განიხილა განაცხადი (№47729/08) და ერთსულოვნად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

პოლიციის ყოფილი ოფიცერი ვასილ გოგინაშვილი, როგორც ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდაში ეჭვმიტანილი პირი, 2006 წლის 21 მაისს დააპატიმრეს. 2007 წლის იანვარში ის ბრალდებულად ცნეს და მიუსაჯეს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვასილ გოგინაშვილის სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, მას ჰქონდა მრავალი ქრონიკული დაავადება, ღვიძლის უკმარისობისა და ჰეპატიტის ჩათვლით. ციხის ადმინისტრაციამ ვასილ გოგინაშვილს ჯანმრთელობის პრობლემები პირველად 2006 წლის ივლისში აღმოუჩინა, როდესაც მას ჩაუტარდა სისხლისა და შარდის ანალიზი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის შესაფასებლად. ამის შემდეგ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში ჩაუტარეს ყოველმხრივი სამედიცინო შემოწმება. შესაბამისად, მის ჯანმრთელობას ექიმები მუდმივად აკვირდებოდნენ და ყოველთვის ათავსებდნენ ციხის საავადმყოფოში, როცა ესაჭიროებოდა სპეციალური ინტენსიური მკურნალობა. ამას გარდა, იმ პერიოდში, როცა ვასილ გოგინაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო, მას ამბულატორიული მკურნალობის შესაბამისად ეძლეოდა მედიკამენტები და იმყოფებოდა ექიმ-სპეციალისტების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ.

2008 წლის ოქტომბერში, ვასილ გოგინაშვილის მოთხოვნის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს მთავრობას დროებითი ღონისძიების სახით დაავალა, რომ განმცხადებელი მოეთავსებინათ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც იქნებოდა მისი ყოველმხრივი მკურნალობის საშუალება. შედეგად, მთავრობამ ვასილ გოგინაშვილი რვა დღის შემდეგ მოათავსა ციხის საავადმყოფოში. მთავრობის მიერ სასამართლოს წინაშე განსახილველად წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, განმცხადებელს ჩაუტარდა ყოველმხრივი სამედიცინო შემოწმება და გამოუწერეს მედიკამენტები. 2009 წლის ივნისში მთავრობამ ვასილ გოგინაშვილის მკურნალობის შესახებ სასამართლოს წარუდგინა დეტალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მას მკურნალობდნენ სამოქალაქო საავადმყოფოში მომუშავე სხვადასხვა პროფილის ექიმები, რასაც, თავის მხრივ, ციხის ექიმიც ადასტურებდა. მას დაენიშნა 36 სახეობის მედიკამენტი, რომელთა შორის იყო ჰიპერტენზიის, კარდიოლოგიური, უროლოგიური და ნეფროლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები.

2010 წლის აგვისტოში სასამართლომ გააუქმა მთავრობის განკარგულება ვასილ გოგინაშვილის საავადმყოფოში მოთავსების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ციხის ადმინისტრაციამ იგი მაინც დატოვა საავადმყოფოში, სადაც გაუგრძელდა მკურნალობა.

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩივის, რომ ხელისუფლების უფლებამოსილმა პირებმა სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს მისი ჯანმრთელობის დაცვა ციხის პირობებში.

სასამართლოს შეფასება

სასამართლომ დაადგინა, რომ ვასილ გოგინაშვილის საჩივრები, რომლებიც ეხებოდა 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მის მკურნალობას, როდესაც ამოქმედდა სასჯელალსრულების შესახებ ახალი კანონი, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ, მართალია, შიდასამართლებრივი დაცვის მექანიზმები იმავე დღეს ამოქმედდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადრინდელი განცხადებები არ უნდა გამოცხადდეს დასაშვებად. თუმცა, რაც შეეხება ვასილ გოგინაშვილის საჩივრებს, რომლებიც ეხება 2010 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მის სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სასამართლომ ისინი დაუშვებლად ცნო. სასამართლომ დაადგინა, რომ ვასილ გოგინაშვილს ეს საკითხი განსახილველად უნდა დაეყენებინა შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების წინაშე, კანონით დადგენილი პროცედურების მიხედვით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი განაცხადის კომუნიკაციის შემდეგ სახელმწიფომ წარმოადგინა განმცხადებლის მთლიანი სამედიცინო ისტორიის ასლი, სადაც დანვრილებით იყო აღნუსხული მკურნალობის ყველა ეტაპი. ამგვარად, სასამართლოს წინაშე ყველა საჭირო ინფორმაციის წარდგენით, რომელიც სადავო მკურნალობის ხარისხის შესაფასებლად სრულიად საკმარისი იყო, სახელმწიფომ წარმატებით გაართვა თავი მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის ვალდებულებას და ჯეროვნად დაეხმარა სასამართლოს ფაქტობრივ განმარტებებში.¹

სასამართლო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მის მიერ დროებითი ღონისძიების გაუქმებისა, ციხის ადმინისტრაციამ თავისი ინიციატივით გაუგრძელა განმცხადებელს სტაციონარული მკურნალობა ციხის საავადმყოფოში, სადაც ის დღესაც მკურნალობს. ამ პერიოდის განმავლობაში მას უტარდებოდა ყოველმხრივი კომპლექსური გამოკვლევა.² რაც შეეხება განმცხადებლის პრეტენზიას, რომ ციხის საავადმყოფოს პირობებში შეუძლებელი იყო კომპლექსური გამოკვლევისა და მკურნალობის ჩატარება, სასამართლო დაეყრდნო მთავრობისა და ნამების ამკრძალავი საერთაშორისო კომისიის დასკვნებს, სადაც ნათქვამია, რომ ციხის საავადმყოფოს ამჟამინდელი მდგომარეობა შეესაბამება სამოქალაქო საავადმყოფოს სტანდარტებს. ეს შესაბამისობა კი სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს დაასკვნას, რომ ამგვარი პირობები არ წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევას.³

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ციხის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალში ექიმ-ნეფროლოგის შტატის არარსებობისა, ამგვარი კონკრეტული შეზღუდვა არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან ეს ხარვეზი სრულად კომპენსირდა ციხის ადმინისტრაციის მიერ აპლიკანტისათვის ექიმ-ნეფროლოგის მინვევითა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასევე აპლიკანტის მიმართ ციხის ადმინისტრაციის მიერ გამოჩენილი ყურადღება, რაც ტუბერკულოზისა და შიდსის ვირუსის პრევენციისათვის იყო გამიზნული.

¹ see, *a contrario*, *Malenko v. Ukraine*, no. 18660/03, §§ 56-57, 19 February 2009.

² see *Testa v. Croatia*, no.20877/04, §52, 12 July 2007, and *Poghosyan v. Georgia*, no.9870/07, §57, 24 February 2009.

³ See *Mirilashvili v. Russia (dec.)*, no. 6293/04, 10 July 2007.

ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს ექიმებმა ციხის საავადმყოფოში აღმოუჩინეს არა მარტო ქმედითი და ჯეროვანი სამედიცინო დახმარება, არამედ მას ჩაუტარდა ზუსტი დიაგნოსტიკური გამოკვლევა და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა სახელმწიფოს ხარჯზე.⁴ აპლიკანტის მკურნალობა იყო რეგულარული, სისტემური და კომპლექსური თერაპიით განსაზღვრული.⁵

ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ციხის ადმინისტრაციამ ჯეროვანი გულმოდგინებით უზრუნველყო აპლიკანტის ჯანმრთელობის დაცვა, რაც გამოიხატა შესაბამისი და სისტემური სამედიცინო მკურნალობის დანიშვნაში.

სასამართლოს შემადგენლობამ ერთსულოვნად დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

⁴ contrast with Hummatov, cited above, § 116, and Melnik, also cited above, §§ 104 106

⁵ Compare with Sarban v. Moldova, no.3456/05, §79, 4 October 2005, and Popov v. Russia, no.26853/04, § 211, 13 July 2006.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge